საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა

# კრებული

## 9

# СБОРНИК

## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სექტემბერი

თბილისი 1976

1976

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. ქურციკიძე
ტექ. რედაქტორი ეკ. ნეშუმაშვილი

ფასი 10 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/V 76 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5.
ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 4

შეკ. № 775. უე—14401 ტირაჟი 5.000

საქ სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის
ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სტამბა № 11,
უშ. ჩხეიძის ქ № 19

Типография № 11, Государственного комитета по делам издательств,
полиграфии и книжной торговли Совета Министров Грузинской ССР,
ул. Уш. Чхеидзе № 19

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 1 ივნისის ბრძანება № 562

## თბილისის ლენინის სახელობის, თეთრიწყაროსა და ლენინგორის რაიონებში უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა შვილად აყვანის, პატრონობის, მეურვეობისა და მზრუნველობის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადგინდა, რომ თბილისის ლენინის სახელობის, თეთრიწყაროსა და ლენინგორის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს (ამხ. ამხ. რ. გურგენიძე, ლ. ჯინჯიხაძე, ვ. ი. თიგიევი) უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა შვილად აყვანის, პატრონობის, მეურვეობისა და მზრუნველობის მოწესრიგების საქმეში ჩატარებული აქვთ გარკვეული მუშაობა.

ლენინის სახელობის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებაში შვილად აყვანისა და მეურვეობის გაფორმების საქმეს, რომელიც წარმოებს ბავშვთა უფლებების დაცვისა და საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის შესაბამისად, დამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს სასკოლო ინსპექტორი ნ. ჯახუა. ლენინის სახელობის რაიონი, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დისლოკაციის შესაბამისად, დაყოფილია მიკრორაიონებად, რაც ოპერატიულობის თვალსაზრისით მიზანშეწონილია. რაიონში ფუნქციონირებს მზრუნველთა საბჭო 13 ამხანაგის შემადგენლობით. მზრუნველთა საბჭოს კომკავშირულ-პროფკავშირულ მუშაკთა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგთა შემადგენლობიდან შემოკრებილი ჰყავთ აქტივი. ლენინის სახელობის რაიონში, 1976 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მეურვეობაში იმყოფება 48 ბავშვი, შვილად აყვანილია 940. რაიონის სახალხო განათლების განყოფილებას შემოღებული და მოწესრიგებული აქვს შესაბამისი აღრიცხვის ჟურნალები, აგრეთვე ბავშვების პირადი საქმეები.

თბილისის ლენინის სახელობის, ლენინგორისა და თეთრიწყაროს რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს მოგვარებული

აქვთ გაშვილებულ ბავშვთა აღრიცხვა, თუმცა ბავშვთა მეურვეობისა და პატრონირების საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ნაკლოვანებებს.

ნაკლოვანებებით ხასიათდება აგრეთვე ბავშვთა ინტერესების დაცვის მიმართულებით ჩატარებული მუშაობაც, მიუხედავად იმისა, რომ ამ მხრივ ერთგვარად, გაუმჯობესდა ზემოხსენებული რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებისა და მათთან შექმნილი სამეურვეო-სამზრუნველო საბჭოების საქმიანობა.

აღნიშნული რაიონების განათლების განყოფილებები და სამეურვეო ორგანოები არ არიან მჭიდრო კავშირში მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებთან.

თბილისის ლენინის სახ. რაიონის სამეურვეო საბჭო სკოლების პედაგოგიურ კოლექტივებთან ერთად ვერ ახორციელებს სათანადო ღონისძიებებს მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა გამოსავლინებლად. ამის გამოა, რომ სამეურვეო საბჭოს დღემდე არ აქვს დაზუსტებული რაიონში უდედმამოდ და უზედამხედველოდ დარჩენილ ბავშვთა სიები. ცუდად იწარმოება მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვების პირველადი აღრიცხვის ჟურნალები. თითოეულ ბავშვზე არ არის შექმნილი სრულყოფილი პირადი საქმე. შემოწმების პროცესში გამოირკვა, რომ 1975 წლამდე ლენინის სახელობის რაიონში არ ხდებოდა სამეურვეო პირის კუთვნილი ქონების აღწერა, რის გამოც ერთ-ერთი ბავშვის მეურვედ დანიშნულმა პირმა შეძლო მიეთვისებინა მცირეწლოვანის ძვირფასი ნივთები და მხოლოდ სასამართლოს ჩარევის შემდეგ მოხერხდა ბავშვის ინტერესების დაცვა.

შემოწმებულ რაიონებში არც ერთი ბავშვი არ არის გადაცემული პატრონატზე. სახალხო განათლების განყოფილებები, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და მზრუნველთა საბჭოები იშვიათად სწავლობენ მეურვეობასა და მზრუნველობაში მყოფ ბავშვთა საყოფაცხოვრებო პირობებს, მათი აკადემიური წარმატებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობას. ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ საზოგადოებრივი ინსპექტორები. ხშირად არასათანადოდ წარმოებს შვილად აყვანის გაფორმება. იმის გამო, რომ სახალხო განათლების განყოფილებები ჯერ კიდევ საჭირო პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან შვილად ამყვანის პიროვნების, მისი მორალური სახისა და ეკონომიური მდგომარეობის შესწავლის საქმეს, ხშირია დაინტერესებულ პირთა მიერ

ფიქტიურად შვილად აყვანისა და შემდეგ რაისაბჭოს აღმასკომის მიერ მიღებული შესაბამისი დადგენილებების გაუქმების შემთხვევაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების განყოფილებებს შემოღებული არა აქვთ მეურვეობაში მყოფ ასაკოვან ბავშვთა აღრიცხვიდან მოხსნის სპეციალური ჟურნალები, რის გამოც არც მათ შრომით საქმიანობაში ჩაბმაზე ზრუნავენ.

ნაკლები ყურადღება ექცევა პატრონატზე აყვანილ და გაშვილებულ ბავშვთა პირადი საქმეების შედგენისა და სრულყოფის საქმეს. პირად საქმეებში არ აქვთ შეტანილი აუცილებელი დოკუმენტები.

დადგინდა, რომ რაიონების განათლების განყოფილებები, ჯანმრთელობის დაცვისა და სოცუზრუნველყოფის განყოფილებებთან ერთად, სათანადოდ არ აწესრიგებენ რაიონში უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა პატრონირების, შვილად აყვანის, მეურვეობისა და მზრუნველობის საჭირბოროტო საკითხებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ადგილებზე ჯერ კიდევ ნაკლებად იცნობენ ზემდგომი ორგანოების შესაბამის დადგენილებებსა და დოკუმენტებს, რის გამოც ადგილი აქვს სერიოზულ დამახინჯებებს.

F4241

უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა შვილად აყვანის, პატრონირების, მეურვეობისა და მზრუნველობის საქმეში არსებული ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აღინიშნოს თეთრიწყაროს, ლენინგორისა და თბილისის ლენინის რაიონის განათლების განყოფილებებისა და სკოლების ჯერ კიდევ არასათანადო მუშაობა უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა პატრონირების, მეურვეობის, მზრუნველობისა და შვილად აყვანის საქმეში.

2. თეთრიწყაროს, ლენინგორისა და თბილისის ლენინის რაიონების განათლების განყოფილებების გამგეებმა (ამხ. ამხ. ლ. ჯინჯიხაძე, ვ. თიგიევი, რ. გურგენიძე):

ა) ზუსტად აღრიცხონ რაიონის სოფლებში, დასახლებულ პუნქტებსა და საბავშვო დაწესებულებებში უდედმამოდ დარჩენილი ბავშვები და მოზარდები, უზრუნველყონ მათი პატრონირება, მეურვეობა, მზრუნველობა და შვილად აყვანა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) პატრონირების, მეურვეობის, მზრუნველობისა და გაშვილების დროს მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლებისა



საქართველოს პარლამენტის

და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების 1969 წლის 31 მარტის 186/193 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით (კრებული №5—6 1969 წელი);

გ) უდედმამოდ დარჩენილ პატრონირებულ, გაშვილებულ, მეურვეობასა და მზრუნველობაში მყოფ ბავშვებზე ცალ-ცალკე შემოიღონ სააღრიცხვო ჟურნალები და თითოეულ ბავშვზე შეადგინონ პირადი საქმე ყველა აუცილებელი საბუთით;

დ) სისტემატურად შეისწავლონ უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა საყოფაცხოვრებო პირობები, აკადემიური წარმატებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობა, ამ საქმიანობაში ფართოდ ჩააბან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაკები, კომკავშირული და პროფკავშირული აქტივი; შემოწმების შედეგები პერიოდულად განიხილონ მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომებისა და სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე. საჭირო ზომების მისაღებად;

ე) მტკიცე კავშირი დაამყარონ რაიონის ჯანმრთელობის დაცვისა და სოცუზრუნველყოფის განყოფილებებთან, მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომებთან, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებთან.

3. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. თ. ნიკოლაიშვილი):

ა) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე;

ბ) პერიოდულად შეამოწმოს ადგილებზე უმეთვალყურეოდ დარჩენილ ბავშვთა გაშვილების, პატრონირების, მეურვეობისა და მზრუნველობის საკითხები და შემოწმების შედეგები მოამზადოს განათლების სამინისტროს კოლეგიაზე განსახილველად.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1976 წლის 13 მაისის დადგენილება.

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 1 ივნისის ბრძანება № 565

### რესპუბლიკის სალამოსა და დაუსწრებელ სკოლებში ახალი 1976—1977 სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ

ადგილებზე შემოწმებით და განათლების სამინისტროში წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში დროულად დაიწყეს მზადება მოზრდილთა სწავლების სკოლებში ახალი სასწავლო წლისათვის. მახარაძის, ორჯონიკიძის, ბოლნისის, მცხეთისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში აღრიცხეს სახალხო მეურნეობაში დასაქმებული სწავლებაში ჩასაბმელი ახალგაზრდები, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა დაამტკიცეს საწარმოების, ორგანიზაციების, მეურნეობების მიხედვით მათი სწავლებაში ჩაბმის გეგმები, ამთავითვე განსაზღვრეს სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების ქსელის გარდაქმნა-გაფართოება, დაიწყეს სკოლებში ჩასარიცხი ახალგაზრდების განცხადებებისა და დოკუმენტების მიღება.

მაგრამ ბევრ ქალაქსა და რაიონში ახალი სასწავლო წლისათვის მზადება სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. ზოგან განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა, სალამოსა და დაუსწრებელმა სკოლებმა ჯერ კიდევ არ გაშალეს მუშაობა მოზრდილთა სწავლების გაუმჯობესების შესახებ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1976 წლის 6 აპრილის დადგენილებისა და მისგან გამომდინარე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ამა წლის 29 აპრილის ბრძანების შესასრულებლად. მაგალითად, ქ. თბილისის ზოგ რაიონში, აგრეთვე თიანეთის, ადიგენის, ამბროლაურის, თერჯოლის, გეგეჭკორის, აბაშის, ბოგდანოვკისა და სხვა რაიონებში.

ზოგან სწავლებაში ჩასაბმელი ახალგაზრდების აღრიცხვა ჩატარდა არასრულად. მასში არ იყო ჩაბმული ორგანიზაციები, საწარმოები, ადგილობრივი საბჭოები. ბევრგან მოუწესრიგებელია განათლების

ორგანოების, სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების ურთიერთობა საწარმოებთან, მეურნეობებთან. განსაკუთრებით ცოტაა [illegible] სწავლებაში ჩაუბმელი ახალგაზრდები მაიაკოვსკის (35), [illegible] (37), ცაგერის (61), ჩოხატაურის (22), ზუგდიდის (35), ლენტეხისა (40) და სხვა რაიონებში. ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილებამ არადამაკმაყოფილებლად შეასრულეს აღნიშნულ საკითხზე განათლების სამინისტროს 1975 წ. 1 აგვისტოს მითითება იმის შესახებ, რომ აღრიცხვა უნდა ჩატარებულიყო 1976 წლის პირველ აპრილამდე.

განათლების მთელ რიგ განყოფილებებს დღემდე არ წარუდგენიათ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებისათვის დასამტკიცებლად საწარმოების, ორგანიზაციების, მეურნეობების მიხედვით ახალგაზრდების სწავლებაში ჩაბმის გეგმები, რაზეც სამინისტრომ წერილობით მიუთითა მათ 1976 წლის 3 მარტს.

თეთრწყაროს, აბაშის, გეგეჭკორის, ჩოხატაურის, ცხაკაიას, თიანეთის, ხაშურის, ადიგენის, ლენტეხის, მესტიისა და სხვა რაიონების სალამოს სკოლებისა და კლასების არსებული ქსელი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, მაგრამ განათლების განყოფილებებს დღემდე არ გადაუწყვეტიათ მისი გარდაქმნა—გაფართოების საკითხი.

მიუხედავად განათლების სამინისტროს არაერთგზის მითითებისა, ზოგან იმ ვადებში არ იწყებენ სკოლებში ჩასარიცხი ახალგაზრდების საბუთებისა და განცხადებების მიღებას, როც სალამოსა და დაუსწრებელ სკოლებში მოსწავლეთა მიღების წესებითაა გათვალისწინებული.

ზოგიერთგან არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებას, სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების განკარგულებაში არსებული შენობების დიდი ნაწილი კეთილმოუწყობელია.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა:

—დაუყოვნებლივ მიიღონ გადამჭრელი ზომები მოზრდილთა სწავლებაში ახალი 1976—1977 სასწავლო წლისათვის მზადებაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

—ერთხელ კიდევ დააზუსტონ თვითეულ საწარმოში, დაწესებულებაში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მომუშავე სა-

შუალო განათლების არმქონე 16—29 წლის ახალგაზრდების სიები და საწარმოთა მიხედვით მათი სწავლებაში ჩაბმის გეგმები უახლოეს დროში წარუდგინონ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული საბჭოების აღმასკომებს დასამტკიცებლად. ამ საქმეში ფართოდ გამოიყენონ საწარმოების ხელმძღვანელების, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, ადგილობრივი საბჭოების დახმარება;

—ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან შეთანხმებით დროულად გადაწყვიტონ საღამოსა და დაუსწრებელი სკოლებისა და კლასების ქსელის გარდაქმნა-გაფართოების საკითხი და თავიანთი წინადადებები წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს;

—მკაცრი დავალება მისცენ საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების დირექტორებს მტკიცედ იხელმძღვანელონ მეთოდური წერილით „საღამოს (ცვლიანი) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტის შენარჩუნების ღონისძიებათა შესახებ" განათლების სამინისტროს 1976 წლის 3 მარტის მითითებით, რათა უზრუნველყონ მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე სკოლებში ჩასარიცხი ახალგაზრდების განცხადებებისა და სხვა საბუთების მიღება;

—თვითეულ ქალაქსა და რაიონში უზრუნველყოფილ იქნეს საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მოსწავლეთა დაკომპლექტების მთლიანად დამთავრება 1976 წლის 1 სექტემბრამდე. ამ საკითხზე განცხადებები გამოაქვეყნოს ადგილობრივ პრესაში;

—გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების შენობების სრულ წესრიგში მოსაყვანად, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ნორმალურად წარმართვის პირობები შეუქმნან აგრეთვე იმ საღამოს სკოლებსა და კლასებს, რომლებიც მასობრივი სკოლების შენობებში მუშაობენ.

2. ცნობად იქნეს მიღებული სამმართველოს განცხადება, რომ განათლების ადგილობრივი ორგანოები და საღამოს სკოლები დროულად მიიღებენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროდან პროგრამებს, სასწავლო გეგმებს, მოსწავლეთა მიღების წესებს და სხვა საჭირო მითითებებს.

3. საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველომ მტკიცე კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე. ადგილებზე რეგულარულად შეამოწმოს ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მდგომარეობა და ამ საქმეში სერიოზულ ნაკლოვანებათა გა-

მოვლინების შემთხვევაში საკითხი დააყენოს სამინისტროს კოლეგიის განსახილველად.

ეროვნული

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 27 მაისის დადგენილება.

მინისტრი თ. ვ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 2 ივნისის ბრძანება № 566

### სკოლებსა და სხვა სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და კუჭ-ნაწლავის მწვავე დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ

ქალაქებსა და დასახლებულ ადგილებში სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და კუჭ-ნაწლავის მწვავე დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) უახლოეს მომავალში გაატარონ გადამჭრელი ღონისძიებები სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებში, სკოლამდელ დაწესებულებებში, პიონერთა ბანაკებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებში სანიტარული წესრიგის დამყარებისათვის;

ბ) უზრუნველყონ არსებული წყალსადენების, კანალიზაციისა და გამასუფთავებელი ნაგებობების ტექნიკური სრულყოფისა და სანიტარული მდგომარეობის პროფილაქტიკური შემოწმება და დეფექტების აღმოჩენის შემთხვევებში მიიღონ სასწრაფო ღონისძიებები მათ სალიკვიდაციოდ; მიიღონ ზომები საბავშვო დაწესებულებების ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველსაყოფად;

გ) არ დაუშვან პიონერთა ბანაკებისა და სხვა საზაფხულო-გამაჯანსაღებელი დაწესებულებების ექსპლოატაციაში შეყვანა, თუ ისინი უზრუნველყოფილი არ იქნებიან გამდინარე ცხელი და ცივი წყლით, მაცივრებით, ტუალეტებით და სხვა სანტექნიკური და სანიტარულ საყოფაცხოვრებო მოწყობილობით;

დ) ამაღლონ სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლების, სკოლამდელი დაწესებულებების დირექტორების, [illegible] ნაკადების უფროსების პირადი პასუხისმგებლობა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისა და შესრულების საქმეში;

ე) გააუმჯობესონ მოსწავლეთა შორის სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობა კუჭ-ნაწლავის მწვავე დაავადებათა პროფილაქტიკის საქმეში.

2. სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების, აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოებმა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებამ (ამხ. ამხ. თ. კანდელაკი, თ. ნიკოლაიშვილი, თ. ყლენტი, გ. აბდუშელიშვილი) მკაცრი კონტროლი დააწესონ ამ ბრძანების ცხოვრებაში გატარებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1976 წლის 27 მაისის დადგენილება.

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 2 ივნისის ბრძანება № 568

**საქართველოს კპ ცკ-სა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 3 თებერვლის № 118 დადგენილების შესაბამისად ენგურჰესმშენის დასახლების სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ**

განათლების სამინისტროს ბრიგადის მიერ ჩატარებულმა შემოწმებამ ცხადყო, რომ ენგურჰესმშენის დასახლების სკოლებში გარკვეული მუშაობა ტარდება სკოლის თაობაზე სკკპ XXIV და XXV ყრილობების გადაწყვეტილებათა, სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის დადგენილების ცხოვრებაში განსახორციელებლად.

უკანასკნელ პერიოდში განმტკიცდა სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა. ექსპლოატაციაში შევიდა მუჟავას, ფოცხო-ეწერის (წალენჯიხის რაიონი), საბერიოს მე-2, გინძე-ეწერის (გალის რაიონი) ახალი სასკოლო შენობები, დამატებით კორპუსი აუშენდა ჯვარზენის № 1 საშუალო სკოლას.

სწავლების კაბინეტურ სისტემაზე გადასულია გინძე-ეწერის (დირექტორი შ. ჩხოტუა) საშუალო სკოლა, სადაც მონდომებითა და შემოქმედებითად მუშაობს სკოლის ადმინისტრაცია და პედკოლექტივი. კაბინეტები აღჭურვილია სწავლების ტექნიკური საშუალებებითა და თვალსაჩინოებით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კაბინეტების შევსებას თვითნაკეთი ხელსაწყოებით და სხვ. დანარჩენ სკოლებში შექმნილია ცალკეული საგნების კაბინეტები. ყურადღებას იმსახურებს ფოცხო-ეწერის 8-წლიანი სკოლის ფიზიკის კაბინეტი (მასწავლებელი ხ. შამუგია).

გარკვეული მუშაობაა ჩატარებული სკოლების მიკრორაიონებში საყოველთაო-სავალდებულო 8-წლიანი სწავლების კანონის შესრულე-

ბისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დასრულებით. სკოლების მიერ შესრულებულია მოსწავლეთა კონტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმა. საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ფონდი ათვისებულია ყველა სკოლის მიერ დროულად. სკოლები დაინტერესებას იჩენენ კურსდამთავრებულთა მიმართ. მათ გააჩნიათ ზუსტი ცნობები მათი შრომითი საქმიანობისა თუ სწავლის შესახებ. 3 და მეტი კილომეტრით სკოლიდან დაშორებული მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან ტრანსპორტით, რომელიც გამოყოფილია ენგურჰესმშენის მიერ. კვების გადასახადიდან გათავისუფლებულია გინძე-ეწერის საშუალო სკოლის 18 და მუჟავას საშუალო სკოლის 8 მოსწავლე.

ენგურჰესმშენის დასახლების სკოლებს ემსახურება 281 მასწავლებელი, ამათგან უმაღლესი განათლება გააჩნია 139 (დღის განყოფილება დაამთავრა 111-მა, დაუსწრებლი—18), საშუალო სპეციალური განათლება—27, საშუალო—12. უმაღლეს სასწავლებელში ჩაბმულია ამჟამად 6 მასწავლებელი. სწავლების ახალ პროგრამებზე გადასვლასთან დაკავშირებით დახელოვნების კურსები გაიარა 57 მასწავლებელმა.

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ ქართული სექტორის რუსული ენის მასწავლებლები: რ. პოპოვა, გ. მანჯგალაძე (ჯვარზენის № 1 საშუალო სკოლა), მათემატიკის მასწავლებლები: ვ. კრიტარასოვი (საბერიოს № 2 საშუალო სკოლა), მ. ხეცურიანი, მ. ბაშკიროვა (ჯვარზენის № 1 სკოლა), ც. შამუგია (მუჟავას საშუალო სკოლა, გეოგრაფიის მასწავლებლები: ზ. ალანია, ა. სტენინა (გინძე-ეწერის 8-წლიანი სკოლა); რუსული სექტორის მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: ზ. ომაროვა, გ. კურჯიევა (ჯვარზენის № 1), ტ. კრილოვა (ფოცხო-ეწერის 8 წლიანი სკოლა), ე. პონომარიოვა, ვ. ჩუკვა (საბერიოს № 2 საშუალო სკოლა) და სხვ.

მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის განსახორციელებლად ენგურჰესმშენის მომსახურე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უნარიანად იყენებენ აღმზრდელობითი მუშაობის სხვადასხვა ფორმებსა და მეთოდებს. ამ მხრივ აღნიშვნის ღირსია გინძე-ეწერისა და ჯვარზენის № 1 საშუალო სკოლების პედაგოგიური კოლექტივები. აღნიშნული სკოლების მასწავლებლები სისტემატურად იმაღლებენ თავიანთი მეცნიერული და იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონეს, მუშაობაში ყურადღებას ამახვილებენ მოსწავლეთა იდეურ-ზნეობრივი აღზრდის საკითხებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია გინძე-ეწერის საშუალო სკოლის

კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორ ნ. ბალაშოვის მუშაობა.

საგნობრივი წრეების მუშაობის კარგ მაგალითს იძლევა გინძე-ეწერის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის, ფიზიკისა და სხვა წრეების მუშაობა (მასწავლებლები: ზ. სემილეტი, გ. დანილოვა, ზ. ალანია, ა. სტენინა, მ. ბალაშოვი და სხვ.).

მიუხედავად აღნიშნულისა, ენგურჰესმშენის მომსახურე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს მუშაობაში გააჩნიათ არსებითი ნაკლოვანებანი:

სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა ვერ აკმაყოფილებს სადღეისო მოთხოვნებს. სკოლების შენობათა ნაწილის მშენებლობა უხარისხოდ არის შესრულებული. ლანჯიშის 8-წლიანი სკოლა ბარაკის ტიპის შენობაშია მოთავსებული და მისი დერეფანი ბნელია, ფოცხოეწერის რვაწლიანი სკოლა ექსპლოატაციაში შევიდა 1973 წელს, მაგრამ სახურავი უკვე დაზიანებულია და საკლასო ოთახებში ჩამოდის წყალი; სიცივეებს განიცდის ჯვარზენის № 1 საშუალო სკოლა; გინძე-ეწერის საშუალო სკოლას არ აქვს სპორტული დარბაზი; არ არის მოგვარებული სკოლების გათბობა და სხვ.

სათანადო ყურადღება არ ეთმობა სკოლების კაბინეტურ სისტემაზე გადაყვანას, მათ აღჭურვას სწავლების ტექნიკური საშუალებებითა და თვალსაჩინოებით (ლანჯიშის 8-წლიანი სკოლა, დირექტორი ო. ჩხაპელია). ღარიბია სასკოლო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი, მცირე რაოდენობითაა გამოწერილი საკავშირო პედაგოგიური პრესა და პერიოდიკა, მცირეა მეთოდური ლიტერატურა, დაბალია როგორც მოსწავლეთა, ასევე მასწავლებელთა კითხვის კოეფიციენტი.

სკოლებს სუსტ დახმარებას უწევენ საშეფო ორგანიზაციები.

სერიოზული ნაკლოვანებანი აღინიშნება საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების საქმეში. ლანჯიშის რვაწლიან სკოლას არ გააჩნია ფორმა ზს-1 და სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა სიები.

ძალზე დიდია ენგურჰესმშენის დასახლების სკოლებში მოსწავლეთა მოძრაობა, რაც გამოწვეულია მშენებლობაზე კადრების დენადობით. ხშირ შემთხვევაში, გასულ მოსწავლეებზე დასტურის ნაცვლად, არის მხოლოდ მომართვა ან ცნობა მშობლების სამუშაოდან

წასვლის შესახებ. ლანჯიშის 8 წლიან სკოლას 4 ბავშვზე, საერთოდ, არავითარი ცნობა არ გააჩნია.

დაბალია პირველ კლასში ჩარიცხულ ბავშვთა დამამთავრებელ კლასამდე შენარჩუნების პროცენტი. მაგალითად, ჯვარზენის № 1 საშუალო სკოლაში 1966/67 სასწავლო წელს I კლასში ჩარიცხული 40 მოსწავლიდან ამჟამად X კლასში სწავლობს მხოლოდ 17, ხოლო 1968/69 სასწავლო წელს I კლასში ჩარიცხული 32 მოსწავლიდან VIII კლასში სწავლობს—12. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა სკოლებშიც.

სათანადო ყურადღება არ ექცევა აკადემიურად ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეებთან მუშაობას. ლანჯიშის 8-წლიანი სკოლის მასწავლე ო. ჩაკაბერია I კლასში იჯდა 3 წელი, II კლასში-2 წელი, III კლასში 3 წელი.

ნაკლოვანებებია აგრეთვე 16—29 წლის ასაკის 8 და 10 კლასდაუმთავრებელი ახალგაზრდების აღრიცხვისა და სწავლებაში ჩაბმის საქმეში, და ეს მაშინ, როდესაც ასეთები ბევრია ენგურჰესის მშენებლობაზე.

მოუგვარებელია გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მოსწავლეებთან მუშაობა, რაც უდავოდ ხელს უშლის საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელებას. გახანგრძლივებული დღის ჯგუფის მოსწავლეები დღის მეორე ნახევარში ისევ საკლასო ოთახებში უსხედან მერხებს, არ აქვთ არავითარი გასართობი და სხვ.

არასაკმაო ყურადღება ექცევა სკოლების ბუფეტების მუშაობას ისინი არ მარაგდებიან ცხელი კერძებით. ლანჯიშის სკოლას საერთოდ არ გააჩნია სასკოლო ბუფეტი და გახანგრძლივებული დღის ჯგუფის მოსწავლეები სადილად სახლში დადიან.

არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება შინასაკლასო კონტროლი მასწავლებელთა მუშაობაზე ლანჯიშის 8-წლიან სკოლაში (დირექტორი ო. ჩხაპელია, მოადგილე ი. მორატი). ამ სკოლის გახანგრძლივებული დღის ჯგუფის მასწავლებლებს არ გააჩნიათ სამუშაო გეგმები, მოუწესრიგებელია საკლასო ჟურნალები. არ არის შეტანილი ჟურნალებში მეოთხედური და საკონტროლო წერითი ნამუშევრების ნიშნები. გაკვეთილების ცხრილი მეთოდურად არ არის სრულყოფილი. მათემატიკის გაკვეთილები-კვირეული დატვირთვით 6 საათი განაწილებულია 3 დღეზე და სხვ. საერთოდ, უნდა აღინიშნოს ადმინის-

ტრაციის არაკვალიფიციური ხელმძღვანელობა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესისადმი.

ნაკლოვანებანი გამოვლინდა სკოლების ხელმძღვანელობის მიერ პედაგოგიური კადრების შერჩევის საქმეშიც. მაგალითად, ჯვარის, ფოცხო-ეწერის ლანჩხუთისა და გინძე-ეწერის სკოლებში დირექტორები ისტორიკოსებია, ხოლო მათი მოადგილეები — ფილოლოგები.

ხშირია შემთხვევა, როდესაც ცალკეულ საგნებს ასწავლიან არასპეციალისტები: ჯვარის № 1 საშუალო სკოლაში მათემატიკას ასწავლის ქიმიკოსი, გეოგრაფიას—ისტორიკოსი; ლანჩხუთის 8 წლიან სკოლაში მასწავლებელი ტ. ლიაშენკო—სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი ასწავლის რუსულ ენას (8 საათი), ისტორიას (4 საათი), გეოგრაფიას (5 საათი), ფიზკულტურას (4 საათი), სიმღერა-მუსიკას (3 საათი); ი. მორატი (დირექტორის მოადგილე)—ფილოლოგი ასწავლის რუსულ ენას, ისტორიას, გეოგრაფიას.

არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანია კლასის ხელმძღვანელთა მუშაობაში: სააღმზრდელო გეგმები ერთფეროვანია, ღონისძიებანი ნაკლებად საინტერესო და ტრაფარეტულია (მუჟავას, საბერიოს № 2 საშუალო, ლანჩხუთის რვაწლიანი სკოლები).

ნაკლოვანებებს აქვს ადგილი ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლების საქმეში.

დაბალ დონეზე ატარებენ გაკვეთილებს ქართული სექტორის რუსული ენის მასწავლებლები: ი. მორატი, მ. გვიმრაძე (ლანჩხუთის 8 წლიანი სკოლა), გ. ხასია (მუჟავას საშუალო სკოლა). აღნიშნული მასწავლებლები არ ემზადებიან გაკვეთილებისათვის, არ აქვთ ყოველდღიური გეგმები. მოსწავლეები უშვებენ უამრავ შეცდომას მეტყველებაში, რაც რჩება გაუსწორებელი. წერითი სამუშაოები უწიგნურად არის შესრულებული. მ. გვიმრაძეს დამთავრებული აქვს დაწყებითი განათლების მეთოდიკისა და პედაგოგიკის ფაკულტეტი, ვერ ფლობს რუსულ ენას და მისი სწავლების მეთოდიკას, შეცდომით ასწავლის ბავშვებს, ჩამორჩენა აქვს საპროგრამო მასალის გავლაში. შემოწმების დღეს უარი განაცხადა საკონტროლო წერის რვეულების წარმოდგენაზე. თებერვლის შემდეგ საკონტროლო წერები არ ჩაუტარებია, თუმცა საკლასო ჟურნალში გაფორმებულია წერები.

შემოწმებულ სკოლებში იგრძნობა მათემატიკის მასწავლებელთა სუსტი მუშაობა. მათემატიკის სწავლებაში ნაკლებად არის გამოყენებული თვალსაჩინოება და სწავლების ტექნიკური საშუალებანი. დაბალ დო-



F4241
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეზე ატარებენ გაკვეთილებს მასწავლებლები: მ. ბელოუსოვა, ა. ხეჟბარდია (ჯვარზენის № 1 საშუალო სკოლა), მ. ბეჭვაია (საბერიოს № 2 საშუალო სკოლა), დ. ფიფია (ლანჯიშის 8-წლიანი სკოლა) და სხვ. არც ერთ სკოლაში არ სწორდება საკლასო-საშინაო რვეულები, არ იცავენ წერითი მუშაობის ნორმებს, აღინიშნება ლიბერალიზმი მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბალ დონეზე ისწავლება ფიზიკა. ღარიბია ფიზიკის კაბინეტების აღჭურვილობა ჯვარზენის № 1, ლანჯიშის 8-წლიან და სხვ. სკოლებში. ლაბორანტებს წარიგში არ აქვთ მოყვანილი მეურნეობა, არ იცნობენ ხელსაწყოებსა და აპარატურას. მასწავლებლები: ნ. ჭანტურია (ჯვარზენის № 1), დ. ფიფია, ა. ბუტაკოვა (ლანჯიშის 8-წლიანი სკოლა), ქ. საველიევა (საბერიოს № 2 საშუალო სკოლა) დაბალ დონეზე ატარებენ გაკვეთილებს. ნაკლებ ყურადღებას უთმობენ თვალსაჩინოების გამოყენებას, ამოცანების ამოხსნას, არ ატარებენ ფრონტალურ—ლაბორატორიულ სამუშაოებს.

ასევე დაბალ დონეზეა დაყენებული გეოგრაფიის სწავლება. სკოლებს არ გააჩნიათ საჭირო რაოდენობის რუკები, გლობუსები, ატლასები და სხვა თვალსაჩინოება. მასწავლებლები ნ. ქარდავა, მ. ხასაია (ჯვარზენის № 1), მ. არდია (ფოცხო-ეწერის 8-წლიანი), ე. ანთია (მუჟავას საშუალო სკოლა) ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ მოსწავლეთა აქტივიზაციისა და პრობლემურ სწავლებას. მოსწავლეთა წინაშე დასმული კითხვები მოითხოვენ მარტივ პასუხებს, არ იყენებენ სატექსტო რუკებსა და სქემებს.

სათანადო სიმაღლეზე არ დგას ფიზიკური აღზრდისა და სპორტულ-მასობრივი მუშაობა. სკოლებში არ ტარდება შიდასასკოლო სპარტაკიადები და მასობრივი შეჯიბრებები, დაბალია „მშთ“ ნიშნოსანთა მომზადების დონე. ზოგ შემთხვევაში მოუწყობელია სპორტული დარბაზი, არ აქვთ ინვენტარი, მოუწესრიგებელია შესაბამისი დოკუმენტაცია (ჯვარზენის № 1, საბერიოს № 2 საშუალო, ლანჯიშის 8-წლიანი სკოლები). დაბალ დონეზე, სრულიად მოუმზადებლად ატარებენ გაკვეთილებს ფიზკულტურის მასწავლებლები ა. ჭულდოვა (ჯვარზენის № 1), ა. პროსკურაკოვა, ი. ჩიკაბერია (ლანჯიშის 8-წლიანი სკოლა), რომელთაგან არც ერთი არ არის სპეციალისტი და ვერც ერკვევა ამ დარგში. აღნიშნულ სკოლებში მოსწავლეები გაკვეთილზე ცხადდებიან უფორმოდ. არავითარი ყურადღება არ ეთმობა კლასგარეშე მუშაობას.

ენგურჰესმშენის დასახლების სკოლების მუშაობაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. წალენჯიხისა და გალის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა (ამხ. ამხ. ვ. ბელქანია, ვ. ძიგუა):

—ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით გადამჭრელი ღონისძიებები განახორციელონ ენგურჰესმშენის დასახლების სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად;

—დაუყოვნებლივ შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი თითოეული სკოლის სასწავლო-მატერიალური ბაზის გაუმჯობესება-განმტკიცებისათვის;

—დაუყოვნებლივ გადადგან პრაქტიკული ნაბიჯები ენგურჰესის მშენებლობის მომსახურე სკოლების საჭირო კადრებით უზრუნველყოფის საქმეში;

—განაზოგადონ რაიონების სკოლებს შორის გინძე-ეწერის საშუალო სკოლის მუშაობის გამოცდილება;

—მიიღონ ქმედითი ზომები ენგურჰესმშენის დასახლების სკოლებში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის მთლიანად დამთავრებისათვის;

—1976 წლის 20 აგვისტოსათვის განათლების სამინისტროს წარმოუდგინონ მოხსენებითი ბარათები ამ ბრძანებაში დასახული ღონისძიებების შესასრულებლად ჩატარებული მუშაობის შესახებ.

2. სკოლების დირექტორებმა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში მათმა მოადგილეებმა:

არსებითად გააუმჯობესონ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი;

—მჭიდრო კავშირი დაამყარონ საშეფო ორგანიზაციებთან და მათი დახმარებით მიაღწიონ სასწავლო-მატერიალური ბაზის შემდგომ განმტკიცებას;

—სისტემატურად მოისმინონ გაკვეთილები და ქმედითი მეცნიერული და მეთოდური დახმარება გაუწიონ საგნის მასწავლებლებს;

—განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ახალგაზრდა კადრების მუშაობის საკითხს.

—გაკვეთილების ცხრილის შედგენისას გაითვალისწინონ პედაგოგიური და მეთოდური პრინციპები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

—სრულ წესრიგში იქონიონ სასკოლო დოკუმენტაცია;

3. კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ სკოლის მოსწავლეთა, პიონერთა და კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობაში. მიმზიდველი და საინტერესო გახადონ სკოლაში ჩატარებული ყოველი ღონისძიება.

4. მასწავლებლებმა:

—იზრუნონ საკუთარი მეცნიერული, იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისა და მეთოდური დახელოვნებისათვის;

—სრულყონ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, აამაღლონ გაკვეთილის ეფექტიურობა, უფრო ფართოდ დანერგონ სწავლების მოწინავე ხერხები და მეთოდები, მაქსიმალურად გამოიყენონ სწავლებაში ტექნიკური საშუალებები, თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალა.

5. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი სრულიად არადამაკმაყოფილებელი კონტროლისა და ხელმძღვანელობისათვის წალენჯიხის რაიონის ლანჩხუთის რვაწლიანი სკოლის დირექტორს ო. ჩხაპელიას გამოეცხადოს სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

6. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი სუსტი ხელმძღვანელობისა და საგნის დაბალ დონეზე სწავლებისათვის წალენჯიხის რაიონის განათლების განყოფილებამ მსჯელობა იქონიოს ლანჩხუთის 8-წლიანი სკოლის დირექტორის მოადგილის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ი. მორატის სამუშაოზე დატოვების მიზანშეწონილობის შესახებ.

7. საგნის დაბალ დონეზე სწავლებისათვის წალენჯიხის რაიონის მუჟავის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ გ. ხასაიას მიეთითოს.

8. საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისა და საგნის ძალზე დაბალ დონეზე სწავლებისათვის წალენჯიხის რაიონის რვაწლიანი სკოლის რუსული ენის მასწავლებელს მ. გვიმრაძეს, სათანადო წესის დაცვით, როგორც არასპეციალისტს, ჩამოერთვას რუსული ენის სწავლების უფლება.

9. კაპიტალური მშენებლობის სამმართველომ (ამხ. ი. უჩანეიშვილი) გაატაროს ქმედითი ღონისძიებები ჯვარზენის № 1 საშუალო სკოლისათვის ახალი კორპუსის მშენებლობის დაჩქარებისა და ძველი კორპუსის კაპიტალური რემონტის ჩატარებისათვის.

10. მომარაგების სამმართველომ (ამხ. გ. კბილაშვილი) უზრუნველყოს ენგურჰესმშენის დასახლების სკოლების საჭირო თვალსაჩინოებებითა და სწავლების ტექნიკური საშუალებებით პირველ რიგში მომარაგება.

11. მეთოდიკისა და სახელმძღვანელოების სამმართველომ (ამხ. ლ. მნათობიშვილი) დროულად უზრუნველყოს აღნიშნული სკოლები სასწავლო პროგრამებით, სახელმძღვანელოებითა და მეთოდური ლიტერატურით.

12. კადრების სამმართველომ (ამხ. ი. კვაჭაძე) უზრუნველყოს ენგურჰესმშენის დასახლების სკოლები სათანადო კვალიფიციური კადრებით.

13. ქუთაისისა და სოხუმის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებმა (ამხ. ამხ. ქ. ჯულაყიძე, რ. აგრბა) საკურსო ღონისძიებების დაგეგმვის დროს გაითვალისწინონ ენგურჰესმშენის დასახლების სკოლების მასწავლებელთა კურსებზე გამოწვევა.

14. აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველომ (ამხ. თ. ქლენტი):

—აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, ამ სკოლების ორგანიზატორების, პიონერხელმძღვანელებისა და მასწავლებლებისათვის ჩაატაროს თათბირ-სემინარი მოსწავლეთა იდეურ-ზნეობრივი აღზრდის საკითხებზე;

—უზრუნველყოს სკოლები აღმზრდელობითი ხასიათის მეთოდური ლიტერატურით.

15. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1976 წლის 27 მაისის დადგენილება.

მინისტრი თ. ლაზქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 4 ივნისის ბრძანება № 575

**იაკობ გოგებაშვილის სახელობის დასაჯილდოებლად წამოყენებული კანდიდატურების განმხილველი კომისიის შემადგენლობის შესახებ**

იაკობ გოგებაშვილის მედლის ახალი დებულების შესაბამისად, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან შეიქმნას იაკობ გოგებაშვილის მედლით დასაჯილდოებელ კანდიდატურათა განმხილველი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ლაშქარაშვილი თ. ვ. — მინისტრი
2. ობოლაძე უ. პ. — მინისტრის პირველი მოადგილე
3. მაჭარაშვილი კ. შ. — მინისტრის მოადგილე
4. ფოფხაძე ნ. ა. მინისტრის მოადგილე
5. ლორთქიფანიძე დ. ო. — პედაგოგიური საზოგადოების თავმჯდომარე
6. საყვარელიძე გ. ა. — პედ. მეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორი
7. კანდელაკი რ. ს. — საქ. სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსი
8. ამონაშვილი შ. ა. — პედ. მეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში
9. გოგიჩაიშვილი თ. ა. — საქ. სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ფსიქოლოგიის კათედრის გამგე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1976 წლის 13 მაისის დადგენილება.

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 4 ივნისის ბრძანება № 576

### საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის მასალების გაცნობის, შესწავლისა და პროპაგანდის შესახებ

აღვნიშნავ, რომ რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებმა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა და განათლების სამინისტროსადმი დაქვემდებარებულმა დაწესებულებებმა მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს სკკპ XXV ყრილობის მასალების შესწავლისა და მისი ძირითადი დებულებების ცხოვრებაში განხორციელებისათვის. რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში წარმატებით მოემზადნენ ყრილობის შესახვედრად, ფართო ორგანიზაციული მუშაობა გაშალეს მისი მასალების ღრმა და საფუძვლიანი შესწავლისათვის როგორც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ისე სკოლისგარეშე დაწესებულებებში.

ადგილებიდან შემოსული ინფორმაციებიდან ირკვევა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითების საფუძველზე წარმატებით ჩატარებული ღონისძიებების შედეგად მოსწავლეებმა შეისწავლეს ყრილობის მასალები როგორც სასწავლო პროცესში, ისე კლასგარეშე ღონისძიებებზე. სკკპ XXV ყრილობის მასალების შესწავლის დროს სკოლები და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი დაწესებულებები ხელმძღვანელობდნენ სსრ კავშირის განათლების სამინისტროს საინსტრუქციო-მეთოდური წერილით „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის მასალების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთათვის გაცნობის შესახებ“. იგი გახდა პედაგოგიური კოლექტივების, პარტიული ორგანიზაციების ფართო და ღრმა მსჯელობის საგანი. აღნიშნული მასალების შესწავლა-განმარტებისა და პროპაგანდის მიზნით გარკვეულ მუშაობას ეწევიან განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მასწავლებელთა

დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი, გაზეთი „სახალხო განათლება“ ჟურნალი „სკოლა და „ცხოვრება“ და მისი დარგობრივი დამატებები. აღნიშნული მიმართებით სახალხო განათლების ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. საყვარელიძე):

—გაშალოს ფართო სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა სკკპ XXV ყრილობის მასალებიდან გამომდინარე პრობლემებზე;

—ინსტიტუტების მუშაკთა და აქტივის მონაწილეობით ჩაატაროს ყრილობისადმი მიძღვნილი თეორიული კონფერენცია ან სიმპოზიუმი;

—შეიმუშაოს ღონისძიებანი სკკპ XXV ყრილობის მასალების სამეცნიერო-პედაგოგიურ კვლევებში სათანადო ასახვისა და გამოყენების მიზნით;

—სამეცნიერო-კვლევით თემატიკაში გაითვალისწინოს ყრილობის მასალებში სახალხო განათლებისადმი მიძღვნილი აქტუალური საკითხების დამუშავება.

2. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, ცხინვალის, ქ. თბილისის ინსტიტუტებმა (თ. ზახაშვილი, ქ. ჯულაყიძე, რ. აგრბა, შ. ლოხოვი, ნ. ქიქავა, ა. ელიზბარაშვილი) გააუმჯობესონ ინსტიტუტის მუშაკთა მიერ სკკპ XXV ყრილობის მასალების შესწავლა. ამ ღონისძიების განხორციელების საქმეში ფართოდ ჩააბან და გამოიყენონ პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრის წევრები;

— მიაღწიონ იდეურ-თეორიული მუშაობისა და სასწავლო პროცესის შემდგომ ამაღლებას, მასწავლებელთა, სკოლის, სკოლისგარეშე დაწესებულებების კადრების გადამზადების შემდგომ გაუმჯობესებას;

—გაუწიონ ხელმძღვანელობა და კონტროლი კურსების მსმენელთა მიერ ყრილობის მასალების შესწავლის მიმდინარეობას;

—სკკპ XXV ყრილობის მასალების სათანადო შესწავლისა და გაცნობის მიზნით ჩაატარონ ინსტიტუტების თანამშრომელთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები.

3. გაზეთმა „სახალხო განათლებამ“ და ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ. „აგრეთვე“ და მისმა დამატებებმა (ამხ. ამხ. ნ. შველიძე, გ. საჯაია);

—უზრუნველყონ სკკპ XXV ყრილობის მასალების ფართო და მიზნობრივი პროპაგანდა; თავიანთ ფურცლებზე სისტემატურად გააშუქონ სკოლებსა და სხვა სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში ყრილობის მასალების შესწავლის მიმდინარეობა;

—სისტემატურად გამოაქვეყნონ სტატიები, რომლებიც ითვალისწინებენ ყრილობის მასალების თეორიულ შესწავლასა და მასთან დაკავშირებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პრაქტიკული ამოცანების ცხოვრებაში განხორციელებას.

4. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ განათლების სამინისტრომ განათლების ადგილობრივ ორგანოებს, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს დაუგზავნონ მითითებანი რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის მასალების გაცნობის შესახებ (1975 წლის 29 დეკემბრის № 1057, 1976 წლის 22 მარტის № 292 ბრძანებები).

5. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დააწესოს მეთოდიკისა და სახელმძღვანელოების სამმართველომ (ამხ. ლ. მნათობიშვილი).

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 4 ივნისის ბრძანება № 580

### მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა აღრიცხვის, დანიშვნის, გადაყვანისა და განთავისუფლების მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ ქ. ქ. ქუთაისის, გორის, სოხუმის, გეგეჭკორის, ყვარლის, ბოლნისისა და კასპის რაიონების განათლების განყოფილებებში

შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ ქ. ქ. ქუთაისის, გორის, ნაწილობრივ გეგეჭკორისა და ყვარლის რაიონების განათლების განყოფილებებში მასწავლებელთა აღრიცხვის, დანიშვნის, განთავისუფლების და გადაყვანის მდგომარეობა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საგრძნობლად გაუმჯობესდა. მასწავლებლად, სკოლის დირექტორის მოადგილეებად და სკოლის დირექტორებად დანიშნული არიან ამ თანამდებობისათვის შესაფერისი მუშაკები; შემცირდა შეთავსებით მომუშავე მასწავლებელთა რიცხვი და მცირე საათებზე მასწავლებლების დანიშვნის შემთხვევები. სკოლის მუშაკთა განთავისუფლება და ერთი სკოლიდან მეორეში გადაყვანა ხდება შრომის კანონმდებლობის დაცვით. წესრიგშია მასწავლებელთა პირადი საქმეები.

მიუხედავად ამისა, შემოწმებული რაიონების განათლების განყოფილებების მუშაობაში ჯერ კიდევ შეიმჩნევა ნაკლოვანებები:

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითების მიუხედავად, ზოგ შემთხვევაში მასწავლებლად ინიშნებიან ისეთი პირები, რომელთაც არ გააჩნიათ სათანადო ცენზი. მაგალითად: გეგეჭკორის რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე შ. ცანავა) თამაკონის საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებლად 1974 წლის 2/X-დან დანიშნა ქ. ვ. ცერცვაძე, რომელსაც დამთავრებული აქვს თბი-

ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი; მას ამავე სკოლაში აქვს ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებიც. ყვარლის რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე დ. ლაფაჩიშვილი) საიუის საღამოს (ცვლის) სკოლის ისტორიის მასწავლებლად 1974 წლის 1/IX-დან დანიშნა მ. ა. ბაწილაშვილი—ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი, ამავე რაიონის სოფ. თივის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების რუსული ენის მასწავლებლად დანიშნა არასპეციალისტი კ. პ იოსიფოვი. კასპის რაიონის განათლების განყოფილების (გამგე გ. მაჭარაშვილი) მიერ ალაიანის საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებლად 1975 წლის 20/VIII-დან დანიშნულია ც. ი. მაღლაკელიძე, რომელსაც დამთავრებული აქვს ქ თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური ბოჭკოს ტექნოლოგიის ფაკულტეტი.

ხშირია მასწავლებლად სტუდენტთა დანიშვნის შემთხვევები. მაგალითად, გეგეჭკორის რაიონის კურზუს საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად 1975 წლის 26/VIII-დან დაინიშნა ქუთაისის პედინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი მ. შ. ჯიშკარიანი; ამავე რაიონის ლევანის რვაწლიანი სკოლის ბიოლოგიის მასწავლებლად 1975 წლის 26/VIII-დან—ქ. ქუთაისის პედინსტიტუტის ბიოლოგიის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტი მ. გ. ლაგვილავა; ქვიანის რვაწლიანი სკოლის ინგლისური ენის მასწავლებლად 1974 წლის 20/VIII-დან დანიშნულია გ. შ. რუხაია, რომელსაც დამთავრებული აქვს სოხუმის პედინსტიტუტთან არსებული უცხოური ენების ორწლიანი კურსები; ყვარლის რაიონის გრემის საბავშვო ბაღში აღმზრდელად 1975 წლის 25/I-დან დანიშნულია თელავის პედინსტიტუტის დაწყებითი განათლების ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი ნ. შ. ხახუტაშვილი; ჭიკაანის საღამოს (ცვლის) სკოლის ინგლისური ენის მასწავლებლად 1974 წლის 1/IV-დან—უცხოური ენების პედინსტიტუტის ორწლიან კურსდამთავრებული მ. ი. მენაბდე; ჩაბლისყურის რვაწლიანი სკოლის გერმანული ენის მასწავლებლად 1974 წლის აგვისტოში—დ. ე. ათაბეგოვი, რომელიც სწავლობს მოსკოვის უცხოური ენების ცენტრალური კურსების დაუსწრებელი განყოფილების III კურსზე; ყვარლის № 1 საშუალო სკოლასთან არსებულ მუსიკალურ ჯგუფებში ფორტეპიანოს მასწავლებლად დანიშნულია ნ. გ. ჭუმბურიძე, რომელსაც დამთავრებული აქვს ქ. თბილისის 36-ე

საშუალო სკოლასთან არსებული მუსიკალური შვიდწლედის ფორ-ტეპიანოს განხრით. ამავე რაიონის საროსუს რვაწლიანი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად 1975 [illegible] დანიშნულია უმაღლესდაუმთავრებელი დ. გ. ფცქვილაძე, მესამე კურსის სტუდენტი ქ. მ. ავაზაშვილი—გრემის რვაწლიანი სკოლის რუსული ენის მასწავლებლად, ხოლო მეხუთე კურსის სტუდენტი ს. ვ. ავაზაშვილი—ახალსოფლის მეორე საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კასპის რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე გ. შაქარაშვილი) კავთისხევის საშუალო სკოლაში 1975 წლის 5/IX—ბრძანებით ისტორიის მასწავლებლად დანიშნა თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების IV კურსის სტუდენტები ფ. გ. მეცხვარიშვილი და ო. ს. ხატისკაცი. იმავე რაიონის ხვითის დაწყებითი სკოლის მასწავლებლის მოვალეობის შემსრულებლად 1975 წლის 8/X-დან დანიშნულია ქ. გორის პედინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების IV კურსის სტუდენტი ნ. ვ. ჯანეზაშვილი; კოდისწყაროს რვაწლიანი სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლის მოვალეობის შემსრულებლად 1975 წლის 8/X-დან დანიშნულია ქ. თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების IV კურსის სტუდენტი ა. ი. ბერიძე, ალიანის საშუალო სკოლის ისტორიისა და საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების მასწავლებლის მოვალეობის შემსრულებლად 14 გაკვეთილზე 1975 წლის 10/IX-დან დანიშნულია ქ გორის პედინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების IV კურსის სტუდენტი თ. ა. ჩიტიშვილი; ხიდისყურის რვაწლიანი სკოლის ბიოლოგიის მასწავლებლად 1975 წლის 12/IX-დან დანიშნულია ქ. გორის პედინსტიტუტის ბიოლოგიის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების V კურსის სტუდენტი ი. ი. ჩარიშვილი.

ხშირად ადგილი აქვს მასწავლებელთა შეთავსებით დანიშვნის შემთხვევებს, როცა ამის აუცილებლობა არ არის. მაგალითად, ბოლნისის რაიონის (ყოფილი გამგე შ. ვ. კვაჭაძე) პიონერთა სახლის წრის ხელმძღვანელი მ. ს. ასლანიკაშვილი—ა. ს. პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების III კურსის სტუდენტი 1975 წლის 8/IX-დან შეთავსებით დაინიშნა რატევანის საშუალო

სკოლის გახანგრძლივებული დღის ჯგუფის აღმზრდელად 9,5 განაკვეთზე.

ყვარლის რაიონში ადგილი აქვს მცირე რაოდენობის საათებზე მასწავლებლის დანიშვნის შემთხვევას, მაგალითად, ყვარლის [illegible] ინტერნატის დაწყებითი კლასის 6 საათზე მეშვიდე მასწავლებლად დანიშნულია თ. ნაპირელი მაშინ, როცა დანარჩენ 6 მასწავლებელს ნორმაზე ნაკლები დატვირთვა აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებლების ან განათლების დარგის სხვა მუშაკების დანიშვნა-გადაყვანის დროს ადგილი აქვს მათი დაგვიანებით გაფორმების შემთხვევებს: მარნეულის რაიონში (გამგე ი. გეიდაროვი) ქესალოს საღამოს საშუალო სკოლის დირექტორად 1974 წლის იანვრიდან დანიშნეს ვ. ველიევი, რის შესახებაც საკითხი განათლების სამინისტროში დასვეს მოგვიანებით, 1976 წლის მარტში.

წულუკიძის რაიონის გორდის (დირექტორი გ. გედენიძე) სანატორიული სკოლა-ინტერნატის აღმზრდელად 1975 წლის 20 აგვისტოდან დანიშნეს დირექტორის მეუღლე გ. ა. სულაბერიძე, ხოლო განათლების სამინისტროში დასამტკიცებლად წარმოადგინეს 1976 წლის 25 თებერვალს.

ქ. თბილისის მუსიკალური სკოლა-ინტერნატის დირექტორმა ე. ა. თოდუამ მუსიკის ოთხი მასწავლებელი: ი. ბ. ვოლოვიჩი, რ. ნ. შონია, შ. ვ. სიხარულიძე და მ. ვ. ხოჯავა მიიღო 1975 წლის იანვარ-სექტემბერში, ხოლო მათი დანიშვნის ბრძანების პროექტი სამინისტროში გადმოგზავნა 1976 წლის 19 თებერვალს.

შემოწმებული რაიონების განათლების განყოფილებებს სათანადო მუშაობა აქვთ ჩატარებული სკოლის დირექტორებისა და მათი მოადგილეების სხვადასხვა სპეციალობის მიხედვით შერჩევის საქმეში, მაგრამ ჯერ კიდევ გვხვდება ერთიდაიგივე ან მონათესავე საგნის სპეციალისტები. მაგალითად: გეგეჭკორის რაიონის გეგეჭკორის № 2, ნაგებენაოსა და ინჩხურის საშუალო სკოლების დირექტორები და მათი მოადგილეები ერთიდაიგივე ან მონათესავე საგნების სპეციალისტები არიან. ანალოგიური შემთხვევები გვხვდება აგრეთვე კასპის რაიონის ოკამის, ქვემოჭალის, სასირეთის, ალაიანის, იგოეთის, კოდისწყლის, ფერმის, საქადაგიანოსა და კასპის მე-2 საშუალო სკოლებში. ეს დარღვევები ისევ გრძელდება, მაგალითად, გეგეჭკორის რაიონის განათლების განყოფილებამ 1976 წლის 5 მარტს ნახუნაოს საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილედ სასწავლო-აღმზრდელო-

ბითი მუშაობის დარგში დანიშნა ფილოლოგი ო. ა. ცანავა მაშინ, როცა დ, სამ სკოლაში მომუშავე დირექტორი ლ. ჭილაიაც ფილოლოგია.

ბოლნისის რაიონის განათლების განყოფილების მიერ 1975 წლის 21 აგვისტოს (ბრძანება № 25) კოლაგის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებლად დანიშნულია ს. გულიაევა, ამავე წლის 20 აგვისტოს (ბრძანება № 28) მიგოილის რვაწლიან სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად — ვ. ო. ნამაზოვი, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის შეტანილი სატარიფიკაციო სიაში.

უნდა აღინიშნოს, რომ შემოწმებული რაიონების არც ერთ განათლების განყოფილებას 5 სექტემბრის შემდეგ დანიშნულ მასწავლებლებზე სატარიფიკაციო სიები არა აქვს შედგენილი.

მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა პირადი საქმეები და შრომის წიგნაკები შემოწმებულ რაიონებში ძირითადად მოწესრიგებულია, მაგრამ ქ. სოხუმის განათლების განყოფილებას არ აქვს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო, რვაწლიანი სკოლებისა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა პირადი საქმეები.

ქ. გორის № 2, № 4 საბავშვო ბაღების აღმზრდელ ე. ბ. ტატიშვილისა და № 4, № 5, № 12 საშუალო სკოლების მასწავლებლის ო. ი. [?]ულაშვილის პირადი საქმეები განათლების განყოფილებას არა აქვს.

მოუწესრიგებელია ქ. გორის № 1, № 3 საბავშვო ბაღების აღმზრდელების ლ. ვ. შაპოლოვას, ნ. კარამანოვასა და მ. ი. მარწყვიშვილის, გეგუთქორის რაიონის ბალდის დაწყებითი სკოლის მასწავლებლის ც. ა. წულაიასა და ჯოლევის საბავშვო ბაღის მასწავლებელ ო. ი. მამიგულიანის, ყვარლის რაიონის შილდის № 2 საბავშვო ბაღის აღმზრდელ ლ. ბ. კეკლიშვილის, ყვარლის № 2 საშუალო სკოლის მასწავლებელ გ. მამულაშვილის პირადი საქმეები.

კასპის რაიონის კავთისხევის საშუალო სკოლის მასწავლებლების ფ. გ. მეცხვარიშვილის, მ. გ. იაშვილისა და მ. ს. ხატისკაცის პირად საქმეებში არ არის პირადი ბარათები, განათლებისა და ჯანმრთელობის ცნობა; ნ. ი. მერაბიშვილის დანიშვნის ბრძანება, ფოტოსურათი, ანკეტა და ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, თვალდიდის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელ ზ. მ. ძიძიგურის პირად საქმეში არ არის ფოტოსურათი, პირადი ბარათი; მ. გ. ხუციშვილის პირად საქმეში — განათლების ცნობა, პ. შ. ხომასურიძის დანიშვნის ბრძანების ასლი და სხვა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოთ რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს:

მასწავლებელთა დანიშვნის, გადაყვანისა და განთავისუფლების დროს მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წლის 16 ივლისის ინსტრუქციით.

2. დაევალოს ქ. ქ. სოხუმის, გორის, გეგეჭკორის, კასპის, ყვარლისა და ბოლნისის განათლების განყოფილებების გამგეებს:

ა) არსებული წესის დაცვით შეცვალონ მათ მიერ დანიშნული შეუფერებელი განათლების მქონე მასწავლებლები სათანადო განათლების მქონე სპეციალისტებით;

ბ) არ დაუშვან მასწავლებლებად სტუდენტების დანიშვნის შემთხვევები;

გ) სკოლის დირექტორებად, მათ მოადგილეებად, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორებად შეარჩიონ სხვადასხვა საგნის სპეციალისტები, სათანადო გამოცდილებისა და სტაჟის მქონე მოწინავე მასწავლებლები;

დ) ერთი თვის განმავლობაში სრულ წესრიგში მოიყვანონ მასწავლებელთა შრომის წიგნაკები და პირადი საქმეები როგორც სკოლაში, ისე განათლების განყოფილებაში;

ე) არ დაუშვან მასწავლებელთა სამუშაოდან დათხოვნა სკოლის ადგილკომის თანხმობის გარეშე;

ვ) ამ ბრძანების შესრულების შესახებ წერილობითი ანგარიში წარმოადგინონ განათლების სამინისტროში 1976 წლის 20 სექტემბრამდე;

3. მასწავლებელთა აღრიცხვის, დანიშვნის, გადაყვანისა და განთავისუფლების საქმეში დაშვებული უხეში დარღვევებისათვის კასპის, გეგეჭკორისა და ყვარლის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს ამხ. ამხ. გ. კ. მაქარაშვილს, შ. ვ. ცანავასა და დ. ი. ლაფაჩიშვილს გამოეცხადოთ საყვედური.

4. დაევალოთ ქ. სოხუმისა (ამხ. შ. ე. მალიშავას) და ბოლნისის რაიონის (ამხ. ე. გობეჯიშვილს) სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს უმოკლეს დროში გამოასწორონ არსებული დარღვევები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე დაეკისროს განათლების სამინისტროს კადრების სამმართველოს (ამხ. ი. კვაჭაძე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1976 წლის 13 მაისის დადგენილება.

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემაში შრომის კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

(საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება)

1976 წლის 10 ივნისი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემაში ბოლო წლების მანძილზე საგრძნობლად გაუმჯობესდა შრომის კანონმდებლობის განუხრელად გატარებისათვის ღონისძიებათა დასახვისა და განხორციელების საქმე.

მთელ რიგ სახალხო განათლების ორგანოებსა და რესპუბლიკური დაქვემდებარების დაწესებულება-ორგანიზაციებში საჭირო ყურადღება ექცევა მუშა-მოსამსახურეთა შრომითი უფლებების დაცვის საკითხებს, გარკვეული ღონისძიებები ტარდება კანონმდებლობის განუხრელად გატარებისათვის.

სკოლების დირექტორების, მათი მოადგილეების, მასწავლებლების, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა სამართლებრივი ცოდნის დონის ამაღლების მიზნით გატარებულ ღონისძიებათა შედეგად შემცირდა შრომითი დავა და განსაკუთრებით სახალხო განათლების მუშაკთა სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნის შემთხვევები.

მიუხედავად ამისა, სახალხო განათლების სისტემაში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი შრომის კანონმდებლობის უხეში დარღვევის შემთხვევები, ასე მაგალითად, ადმინისტრაციის ინიციატივით მუშაკების დათხოვნა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული ადგილობრივ პროფორგანიზაციასთან, მაგრამ,

მიუხედავად ამისა, ხშირია შემთხვევები, როდესაც განათლების ორგა-ნოები, სკოლები კანონის ამ კატეგორიულ მოთხოვნას უხეშად არღ-ვევენ. ასე მაგ.: ბოლნისის რაიონის სოფ. ველისპირის რვაწლიანმა სკოლამ ადგილკომთან შეთანხმების გარეშე დაითხოვა დამლაგებელი, ხოლო ამავე რაიონის სოფ. საფარლოს საშუალო სკოლამ—მნე, რომელიც სასამართლოს მიერ აღდგენილ იქნა სამუშაოზე.

ასევე, ცხინვალის საშუალო სკოლიდან, ადგილკომის თანხმობის გარეშე, სამუშაოდან დაითხოვეს წრის ხელმძღვანელი ც. თედეევი, რომელიც სასამართლომ აღადგინა თავის უფლებებში და განაცდურ-დროის ხელფასის ანაზღაურება სკოლის დირექტორს დააკისრა. მსგავს შემთხვევას ადგილი ჰქონდა ახმეტის რაიონშიც, სადაც ადგილკომის გარეშე დათხოვნილი მუშაკი აღდგენილია თავის უფლებებში.

კაჭრეთისა და ბარისახოს სკოლა-ინტერნატებიდან ადგილკომი-თან შეთანხმების გარეშე დაითხოვეს თეთრეულის გამგე და მზარე-ული, დუშეთის სახალხო სასამართლომ ორივე აღადგინა თავის უფ-ლებებში. ანალოგიურ შემთხვევას ადგილი ჰქონდა ვარძიის საშუალო სკოლაში და სხვ.

ზოგან დაუსაბუთებლად ან კანონის უხეში დარღვევით ითხოვენ სკოლისგარეშე და კლასგარეშე მუშაობის ორგანიზატორებს. ასე მოხდა ახალციხის რაიონის ვალეს № 3 საშუალო და თეთრიწყაროს რაიონის სოფელ დაღეთის საშუალო სკოლებში, სადაც მათი დათხოვნა ადგილკომისათვის არ შეუთანხმებიათ.

ზოგიერთი განათლების განყოფილება და სკოლები თვითონ ქმნიან პრეცედენტს შრომის კანონების დარღვევისათვის. მიუხედავად იმისა, რომ მოკლევადიანი უხელფასო შვებულებები მუშაკებს შეიძ-ლება მიეცეთ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში და ისიც ოჯახ-ური და სხვა საპატიო მიზეზის გამო, სკოლები და განათლების გან-ყოფილებები ასეთ შვებულებებს აძლევენ მასწავლებლებს არასაპატიო მიზეზით, ამასთან, დაუშვებელი ხანგრძლივობით მაშინ, როდესაც, მასწავლებლების უხელფასო შვებულებაში გაშვება დიდ ზიანს აყენებს სკოლის სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას.

თეთრიწყაროს რაიონის განათლების განყოფილების ყოფ. გამგემ ამხ. დ. ბექაურმა ხელფასის შეუნახავად სამი თვის შვებულება მისცა მანგლისის სკოლის მასწავლებელ მ. ტამბულოვს, ხოლო ერთი თვის შემდეგ გაუფრთხილებლად სამუშაოდან დაითხოვა იგი, ისიც ადგილ-კომთან შეუთანხმებლად.

ზოგჯერ სკოლის მუშაკები უხეშად არღვევენ კონსტიტუციურ კანონებსაც კი. თერჯოლის რაიონის ღვანკითის საშუალო სკოლის კლასის ხელმძღვანელმა ვ. ღიბრაძემ გაჩხრიკა მოსწავლის [illegible] მოსწავლის მიერ დაკარგული 10 მანეთიანის მოძებნის მიზნით. მასწავლებელი ღიბრაძე სამართლიანად დაისაჯა სახალხო განათლების საბჭოს მიერ.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი კატეგორიულად კრძალავს შვებულებაში და ავადმყოფობის ფურცელზე ყოფნის დროს მუშაკების დათხოვნას, მაიაკოვსკის რაიონის პირველი ობჩის საშუალო სკოლის დირექტორმა შ. მშვენიერაძემ ფეხმძიმობის დროს სამუშაოდან დაითხოვა დეკრეტულ შვებულებაში მყოფი ამავე სკოლის მუშაკი კუპრაშვილი, რითაც ორმაგად დაარღვია კანონი.

ასპინძის რაიონის განათლების განყოფილებამ ბრძანებით გამოიძახა დეკრეტულ შვებულებაში მყოფი მასწავლებელი ნ. ზედგენიძე და სკოლაში ამუშავა.

კანონით აკრძალულია მუშაკის დათხოვნა შესაფერისი განათლების უქონლობის მოტივით, თუ არ იქნება დამტკიცებული, რომ ის თავისი კვალიფიკაციით შეუფერებელია დაკავებული თანამდებობისათვის, მაგრამ სულორის საშუალო სკოლიდან ამ მოტივით დათხოვნილ იქნა ბიბლიოთეკარი ნ. ჩახუნაშვილი, რომელიც სასამართლოს მიერ აღდგენილია თავის უფლებებში.

შრომის კანონმდებლობის დარღვევას ისიც უწყობს ხელს, რომ მთელ რიგ სკოლებსა და რესპუბლიკური დაქვემდებარების დაწესებულება-ორგანიზაციებს არ გააჩნიათ შრომითი შინაგანაწესი ან კედლებზე გამოკრული აქვთ ტიპობრივი შინაგანაწესები, სადაც სრულებით უგულებელყოფილია მოცემული დაწესებულების მუშაობის კონკრეტული პირობები.

ამით აიხსნება ის დარღვევები, რომელთაც ადგილი აქვთ სკოლამდელ დაწესებულებებში (საბავშვო ბაღები და ბაგა-ბაღები), სადაც, დაბალი ტექნიკური პერსონალის სამუშაო დროის მოუწესრიგებლობის გამო, ისინი მოკლებულნი არიან საშუალებას ისარგებლონ ყოველწლიური მორიგი შვებულებითა და უქმე დღეებით, ამავე დროს ამუშავებენ ზედმეტ საათებში (თბილისის ოქტომბრის რაიონი, ქ. ქუთაისი და სხვა).

შრომის კანონმდებლობა მოითხოვს, რომ მუშებსა და მოსამსახურეებს ხელფასი მიეცეთ მუშაობის ადგილზე. მიუხედავად ამისა, მთელი

რიგ სასოფლო საბჭოები მასწავლებლებს ხელფასის მისაღებად იწვევენ ცენტრალური ბუღალტერიის ადგილსამყოფელში და ეს მეორდება იმის შემდეგაც, რაც საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ ადგილებს სპეციალური მითითება მისცა.

შრომის კანონმდებლობის უხეში დარღვევის დასახელებული შემთხვევები იმითაც არის გამოწვეული, რომ პროფკავშირული ორგანიზაციები საჭირო ყურადღებას არ აქცევენ შრომის კანონმდებლობის დაცვისა და განუხრელად გატარების საკითხებს, არ იღებენ ზომებს არსებულ დარღვევათა აღსაკვეთად. ეს შემთხვევები არ აჰყავთ პრინციპულ სიმაღლეზე, რაც მთავარია, არ იყენებენ კუთვნილ კონტროლის უფლებებს.

ასევე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკურმა საბჭომ 1976 წლის 22 მარტს აგრეთვე განიხილეს საკითხი „საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში შრომის კანონმდებლობის დაცვაზე კონტროლის გაუმჯობესების შესახებ“ და დასახეს ღონისძიებები ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი, ზემოხსენებულიდან გამომდინარე,

ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქისა და ყველა რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილების გამგეს, სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ ყველა დაწესებულება-ორგანიზაციის ხელმძღვანელსა და პროფკავშირის საოლქო, საქალაქო, რაიონულ და ადგილობრივ კომიტეტებს:

ა) დაუყოვნებლივ აღკვეთონ შრომის კანონმდებლობის დარღვევის ყველა შემთხვევა, განსაკუთრებით კი მუშაკების სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნის შემთხვევები;

ბ) ალკვეთონ ადმინისტრაციის ინიციატივით მუშაკების დათხოვნა ადგილობრივ პროფორგანიზაციასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც სსრკ კანონმდებლობითაა გათვალისწინებული;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი დარღვევების გამოვლინების შემთხვევაში მუშაკები დაუყოვნებლივ აღადგინონ თავის უფლებებში;

გ) არ დაუშვან კანონის დარღვევით მასწავლებლებისა და სკოლის სხვა მუშაკთათვის უხელფასო შვებულების მიცემა;

ასეთი შვებულებები, ისიც მოკლევადიანი მისცენ მხოლოდ ოჯახური პირობებისა და სხვა საპატიო მიზეზების გამო;

დ) მიაღწიონ იმას, რომ მასწავლებლებს და სკოლის სხვა მუშაკებს ხელფასი დაწესებულ ვადებში მიუტანონ სკოლაში, იქ, სადაც ისინი ყოველდღიურ მუშაობას ეწევიან;

ე) ახალი სასწავლო წლის დაწყებისათვის ყველა სასწავლო, სკოლამდელი, სკოლისგარეშე და სხვა დაწესებულებებში, ადგილობრივი კონკრეტული პირობების გათვალისწინებით, დაამუშაონ შრომითი შინაგანაწესები, ადმინისტრაციის მიერ დამტკიცებული და ადგილკომთან შეთანხმებული, და გამოაკრან დაწესებულებაში თვალსაჩინო ადგილზე.

2. გაფრთხილებულ იქნენ განათლების ორგანოების ხელმძღვანელები და ადგილობრივი პროფორგანიზაციები იმის შესახებ, რომ:

ა) ადმინისტრაციის ინიციატივით ყოველი ცალკეული მუშაკის დათხოვნა მოხდეს დასაბუთებულად და კანონის სრული შესაბამისობით;

ამ წესის დარღვევის, ან საერთოდ კანონის უხეშად უგულვებელყოფის შემთხვევებში განაცდური დროის ხელფასის ანაზღაურება რეგრესიის წესით დაეკისრებათ დათხოვნის უკანონო ბრძანებაზე ხელისმომწერ თანამდებობის პირებს;

ბ) ადგილობრივი პროფორგანიზაციის თანხმობა ყველა მუშაკის და მათ შორის ორგანიზატორების დათხოვნაზე, როგორც წესი, განიხილონ ადგილკომის სხდომებზე, სადაც მოწვეულ იქნება დაინტერესებული პირი და დათხოვნაზე თანხმობის მიღების შემდეგ მოხდეს ბრძანების გაფორმება.

3. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებმა მეტი ყურადღება დაუთმონ საკურსო ღონისძიებებზე შრომის კანონმდებლობის საფუძვლების შესწავლას.

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სახალხო განათლების ხელმძღვანელი მუშაკების მიერ შრომის კანონმდებლობის სრული მოცულობით შესწავლის საკითხს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ საქმეში ჩააბან უმაღლესი იურიდიული განათლებისა და დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

4. დაევალოთ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო და ყველა რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების გამგეებს და პროფკავშირის საოლქო, რაიონულ და საქალაქო კომიტეტებს სისტემატურად შეისწავლონ და კოლეგიების, საბჭოებისა და კომიტეტების სხდომებზე განაზოგადონ შრომის კანონმდებლობის დაცვის პრაქტიკა.

5. ნორმატული სახელმძღვანელო მასალებით ადგილების უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებლად ჩაითვალოს 1976—1977 წლებში გამოიცეს ნორმატიული დოკუმენტების კრებულები და შემდეგი დამხმარე პოპულარული ლიტერატურა:

ა) სახალხო განათლების მუშაკთა ხელფასის გამოანგარიშების წესის ცნობარი, რომლის შედგენაც დაეკისროს ამხ. თ. ჩიტაძეს, გამოიცეს არაუგვიანეს 1977 წლის 1 იანვრისა;

ბ) ნორმატული დოკუმენტების კრებული სახალხო განათლების დაფინანსების შესახებ (თარგმანი 1975 წლის რუსული გამოცემიდან) პასუხისმგებელი გამოცემისათვის თ. ჩიტაძე, გამოსაცემად მომზადდეს 1976 წლის ბოლოსათვის;

გ) სკოლებისათვის ნორმატული დოკუმენტების კრებული 30 საბეჭდი ფორმის მოცულობით, შედგენა დაევალოს ამხ. ამხ. რ. კანდელაკსა და ს. დვალს. გამოსაცემად მომზადდეს 1977 წლის 1 იანვრისათვის, რედაქტორობა დაევალოს ამხ. უშ. ობოლაძეს.

6. გაზეთ „სახალხო განათლების-რედაქციამ მეტი ყურადღება დაუთმოს შრომის კანონმდებლობის დაცვისა და გატარების საკითხებს:

სისტემატურად გააშუქოს შრომისა და ხელფასთან დაკავშირებული საკითხები, რომელთა ერთიანი პრაქტიკა არ არის დანერგილი სკოლასა და განათლების ორგანოებში.

7. დაევალოთ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახალხო განათლების ინსპექციას (ამხ. ზ. როგავა) და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის შრომისა და ხელფასის განყოფილებას

(ამხ. ე. ნაკაშიძე) სისტემატური ზედამხედველობა დააწესონ ამ დადგენილების შესრულებაზე და 1977 წლის იანვარში მოახსენონ სამინისტროს კოლეგიასა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმს დადგენილების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი
თ. ლაშქარაშვილი

განათლების, უმაღლესი სკოლისა
და სამეცნიერო დაწესებულებების
მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის
თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე
დ. იოსელიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ПРИКАЗ № 605
# ОТ 16 ИЮНЯ 1976 Г. МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

## О состоянии преподавания русского языка и литературы в общеобразовательных школах города Цхинвали

Изучив материалы проверки, коллегия Министерства просвещения Грузинской ССР отмечает, что отделы просвещения Юго-Осетинской А/О (зав. Дзагоев Г. И.) и города Цхинвали (зав. Тадтаев Р. К.) проделали определенную работу для повышения уровня знаний по русскому языку и литературе учащихся общеобразовательных восьмилетних и средних школ города Цхинвали.

Организованы планомерное повышение квалификации и переподготовка учителей при Республиканском и Юго-Осетинском ИУУ, в результате чего большая часть словесников проверенных школ прослушала курсы усовершенствования и освоила работу по новым программам.

Изучение состояния преподавания предмета в ряде школ города (интернат, СШ № 2, 5, 6, 8, 9, 10, 11) позволило сделать вывод о том, что учителя русского языка и литературы владеют русской речью, в основном освоили содержание новых учебников и методических руководств к ним, изучают и стремятся перенять передовой опыт работы по своему предмету.

Целенаправленностью, организованностью и эффективностью методических приемов отличился урок русского языка в V-а классе СШ № 2, проведенный Дзуцовой З. А.

Уроки литературы т. т. Медоевой Г. Ф. (СШ № 5) и Виленчика Ю. И. (СШ № 6) выявили их опытность и знания по предмету.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Активность и вполне удовлетворительную подготовку показали учащиеся на уроках учителей: Рчеулишвили Е. И. и Джиоевой В. Д. (СШ № 6), Валиевой З. К. и Козаевой Л. А (школа-интернат), Медоевой К. Г., Габаевой С. С. и Цховребовой—Тхелидзе И. Ш. (СШ № 5), Плиевой З. И. (СШ № 9), Джабиевой Т. А. (СШ № 8), Газзаевой Е Л. (СШ № 11), и др.

Результаты проверочной работы по литературе в IV и X классах средних школ № 6, 8, 9, 11 показали в среднем удовлетворительное развитие речи учащихся и такую же грамотность.

Плодотворно работают методические объединения учителей русского языка и литературы ряда школ, но наиболее целесообразно организовано методическая работа в СШ № 2 (руководитель объединения Чехоева А. С.) и СШ № 5 (руководитель Медоева К. Г. ), где при планировании работы предусматривается не только расширение и углубление теоретических знаний словесника, но и проведение открытых уроков по темам докладов.

Во всех проверенных школах систематически ведется внеклассная работа по предмету. С наибольшей пользой для школьников проходят занятия литературного кружка VIII—X классов в СШ № 11 (руководитель Весская В. К.), где старшеклассники получают возможность расширять свои знания, развивать свои творческие способности и приобретать различные умения и навыки.

Наряду с вышеотмеченными положительними фактами, коллегия отмечает и ряд недостатков.

В проверенных школах города Цхинвали нет оборудованных кабинетов русского языка и литературы, и вследствие этого целый ряд прослушанных уроков проведен без применения наглядных пособий и ТСО.

Учащиеся 4-ых классов школы-интерната не обеспечены в достаточном количестве учебниками по литературе, что сказывается на их подготовленности по данному предмету.

Значительная часть учащихся IV—VII классов большинства школ не приобрела навыка беглого и выразительного чтения по книге

В школе-инетернате, СШ № 6 и некоторых других уроки русского языка в 9 и 10 классах используются с целью проведения письменных работ, поэтому за устные ответы по грамматическому материалу в классных журналах отсутствуют.

Остается низкой плотность оценок по литературе в IV—X классах.

При подборе текстов для контрольных диктантов не всегда принимается во внимание установленная для каждого класса норма слов. Не учитывается и объем сочинений при их оценке, что приводит к необъективности. Недостаточно внимательно проверяются контрольные работы учащихся 10 классов в СШ № 6 (учит. Виленчик Ю. И.), № 9 (Плиева З И.), № 11 (Весская В. К.) и др.

В большинстве школ работа над ошибками проводится без их классификации, т. е. методически неправильно.

Норма контрольных работ, установленная Юго-Осетинским ИУУ и предусматривающая в 10 классах 5 контрольных работ в четверть, ведет к перегрузке учащихся.

Недостаточную активность и слабие знания выявили учащиеся на уроках литературы в VIII классе СШ № 5 (учит. Дзуцова Л. А,) и IV-а классе школы-интерната, где преподавал Чочиев А. Р..

С целью устранения отмеченных выше недостатков в работе учителей русскоге языка и литературы и повышения качества знаний учащихся по данному предмету в школах города Цхинвали,

П р и к а з ы в а ю:

1. Городскому отделу народного образования (тов. Тадтаеву Р. К.):

а) ускорить оборудование кабинетов русского языка и литературы во всех школах города;

б) организовать сбор подержанных учебников и создать фонд таковых в каждой школе для обеспечения ими всех учеников;

в) равномерно распределять между школами технические средства обучения, наглядные и методические пособия;

г) при планировании своей работы предусмотреть систематическую глубокую проверку состояния внутришкольного контроля.

2. Юго-Осетинскому ИУУ (тов. Лохову Ш. И.) пересмотреть нормы письменных работ (обучающих и контрольных) за четверть по каждому классу и проект представить в Управление Школ Минпроса Грузинской ССР до 30 июня с. года для согласования.

3. Методкабинету гороно (тов. Кудуховой В. С.), систематически изучать в школах города:

а) способы применения ТСО на уроках языка и литературы;

б) приемы опроса и учета знаний на уроках литературы;

в) качество проверки контрольных сочинений по новым „Нормам оценки" и метод работы над ошибками в изложениях и сочинениях;

г) методы обучения выразительному чтению в начальных и IV—X классах;

д) организацию внеклассного чтения в начальных и IV—X классах.

Проводить совещания—семинары по указанным вопросам на основе изученного материала.

4. Руководителям общеобразовательных школ:

а) систематически контролировать подготовку учителей к урокам путем внимательной проверки поурочных планов и планомерного посещения их уроков с последующим анализом;

б) проводить директорские проверочные работы по классам с целью определения уровня грамотности учащихся и степени объективности оценок, выставляемых учителями;

результаты обсуждать на педсоветах, производственных совещаниях;

в) установить строгий контроль за правильностью ведения учета знаний учащихся и оформления его в классных журналах;

г) обеспечить полноценность уроков русского языка в 9 и 10 классах для оказания помощи старшеклассникам в повторении грамматики и работе над стилем.

5. Учителям русского языка и литературы:

а) включить в индивидуальные планы самообразования изучение способов опроса, классификации ошибок по новым „Нормам", методики обучения выразительному чтению;

б) тщательно готовиться к каждому уроку, предусматривая наиболее эффективные методические приемы подачи нового материала и закрепления с применением ТСО и наглядных пособий, обучение учащихся выразительному чтению, работу над текстом художественных произведений и над статьями учебника; планомерно опрашивать учеников на уроках языка и в особенности литературы;

в) учитывать новую классификацию ошибок при проверке письменых работ; при подборке текста для диктанта доводить количество слов в нем до установленной для каждого класса нормы; оценивая сочинения, учитывать их объем (см. „Нормы оценки", 1973 г.).

6. Данный приказ обсудить на заседании педсоветов городских школ, Совета Цхинвальского гороно и принять меры по устранению вышеуказанных недостатков.

Цхинвальскому гороно (тов. Тадтаеву Р. К.) представить к 30 ноября с. г. информацию о проделанной работе по преодолению недостатков, указанных в данном приказе.

7. Управлению школ (тов. Канделаки Р. С.) проследить за выполнением данного приказа.

**Основание:** Постановление коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 16 июня 1976 г.

Министр **Т. Лашкарашвили**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ПРИКАЗ № 606 ОТ 16 ИЮНЯ 1976 Г. МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

**О преподавании русского языка и литературы в общеобразовательных грузинских школах Самтредского района в свете решения ЦК КП Грузии от 10 июля 1973 г.**

Проверка состояния преподавания русского языка и литературы в грузинских школах Самтредского района показала, что в районе проводится определенная работа по выполнению Постановления ЦК КП Грузии от 10 июля 1973 г. Созданы необходимые условия для успешного обучения школьников русскому языку и литературе, улучшен состав педагогических кадров, в ряде школ оборудованы кабинеты и класс-кабинеты, учащиеся обеспечены учебниками, уроки проводятся на уровне современных требований с использованием наглядных пособий и технических средств обучения.

Хорошо, с чувством ответственности работают учителя: Кванталиани Р. А. (Самтредская 3-я ср. школа), Мгеладзе М. А., Жоржолиани Г. И. (Самтредская 2-я ср. школа), Черняева З. Г., Николайшвили И. Г. (Гомская ср. школа), Никурадзе Г. В. (Диди-Джихайшская 8-летняя школа), Хабарова Г. А. (Ахалсопельская 8-летняя школа).

Отдел народного образования (зав. тов К. Дзнеладзе) уделяет должное внимание постановке преподавания русского языка и литературы в школах района. Вопрос преподавания русского языка в школах периодически рассматривается на заседаниях Совета РОНО и намечаются мероприятия по устранению имеющихся недостатков.

Вместе с тем, проверка показала, что учителям ряда школ Самтредского района много еще надо поработать, чтобы добиться осознанного усвоения учащимися русского языка, а также отдельных разделов программы по русскому языку и литературе (Кормагальская средняя, Диди-Джихайшская 8-летняя школа и др.). Наиболее слабым местом в подготовке учащихся остается низкий уровень навыков правописания, чтения, незнание норм литературного произношения. Не всегда соблюдается учителями единство принципа обучения и воспитания подрастающего поколения; зачастую нарушена система письменных—классных и домашних работ; классно-домашние тетради учащихся в большинстве своем не исправляются учителями.

Недостаточную помощь оказывают учителям русского языка и литературы школьные библиотеки, учащиеся очень мало читают книг на русском языке.

Недобросовестно относятся к делу преподавания русского языка и литературы учителя Кормагальской средней школы К. П. и Ш. П. Тевзадзе. Их учащиеся не имеют элементарных знаний, читают плохо, говорят и пишут неграмотно.

В начальных классах Диди-Джихайшской 8-летней школы русский язык преподает учительница Махарадзе М., по специальности историк, слабо владеющая русским языком и методикой его преподавания.

Недостаточно практикуется в районе проведение показательных уроков, с целью обобщения опыта передовых учителей.

Существенные недостатки имеют место и в постановке внутришкольного контроля. Несмотря на то, что посещение уроков руководителями школ осуществляется, выводы и рекомендации по результатам этих посещений, как правило, носят неконкретный характер и не оказывают существенного влияния на последующую работу учителей, вследствие чего недостатки в работе учителей русского языка и литературы предоставляются крайне медленно.

С целью устранения выявленных недостатков в работе преподавателей русского языка и литературы Самтредского района,

ეროვნული ბიბლიოთეკა

Приказываю;

1. Учителям русского языка и литературы:

а) систематически работать над постановлением своего идейно-политического уровня и своей профессиональной квалификации путем чтения политической, методической и педагогической литературы;

б) систематически изучать на уроках русского языка и литературы материалы XXV съезда КПСС. Заострить внимание на идейно-политической направленности каждого урока, делая упор на улучшение идейно-нравственного воспитания школьников;

в) создавать на уроках условия для развития устной речи учащихся;

г) систематически применять на уроках наглядные пособия и ТСО;

д) разнообразить виды письменных работ, регулярно исправлять классно-домашние тетради учащихся, уделить должное внимание работе над ошибками.

2. Директорам обследованных школ Самтредского раойна:

а) устранить выявленные во время проверки недостатки в преподавании русского языка и литературы;

б) усилить требовательность и учителям данного предмета;

в) создать во всех школах кабинеты и класс-кабинеты русского языка, обеспечить их наглядными пособиями и ТСО;

г) периодически рассматривать на педсоветах вопрос постановки преподавания русского языка и литературы;

д) улучшить работу школьных библиотек; правильно наладить организацию самостоятельного чтения среди учащихся и на русском языке.

3. Отделу народного образования Самтредского района (т. Дзneладзе К. А.):

а) повысить ответственность руководителей школ за выполнение решения ЦК КП Грузия от 10 июля 1973 года, рекомендаций Министерства просвещения ГССР, изложенных в приказах и методических письмах по вопросам совершенствования учебного процесса в период перехода на новые программы и учебники;

б) повысить действенность внутришкольного и инспекторского контроля за преподаванием русского языка, с тем, чтобы обеспечить оперативное осуществление необходимых мер по устранению выявленных недостатков;

в) усилить работу инспекторов-методистов по изучению, обобщению и внедрению в школах района передового педагогического опыта;

г) принять меры к тому, чтобы пополнить школы района квалифицированными педагогическими кадрами по русскому языку и литературе;

д) к 30 декабря 1976 года представить Министерству просвещения ГССР информацию о проделанной работе по устранению недостатков в преподавании русского языка и литературы в школах района.

4. Учительницу начальных классов Диди Джихайшской 8-летней школы тов. Махарадзе М., как неспециалиста, с соблюдением существующего порядка, освободить от преподавания русского языка и литературы.

5. Учителям Кормагальской средней школы Тевзадзе К. П. и Тевзадзе Ш. П. за безответственное отношение к преподаванию русского языка и литературы—обявить строгий выговор.

6. Управлению школ (т. Канделаки Р. С.) периодически проверять состояние преподавания русского языка в школах республики и итоги проверки выносить на обсуждение Коллегии Министерства просвещения Грузинской ССР.

**Основание:** Постановление Коллегии Минпроса ГССР от 10 июня 1976 года.

Министр Т. **Лашкарашвили**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 16 ივნისის ბრძანება № 608

### მათემატიკაში, ფიზიკასა და ქიმიაში მოსწავლეთა X საკავშირო ოლიმპიადების შედეგების შესახებ

1975—1976 სასწავლო წელს სახალხო განათლების ორგანოებისა და სკოლების პედკოლექტივების მიერ სათანადო ღონისძიებები გატარდა მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში ოლიმპიადების სასკოლო, სარაიონო, ზონალური და რესპუბლიკური ტურების მაღალ დონეზე მომზადებისა და ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, რამაც შესაძლებელი გახადა საკავშირო ოლიმპიადებისათვის ღირსეული კანდიდატების შერჩევა.

საკავშირო ოლიმპიადებში შერჩეულ კანდიდატებთან ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტები თ. ბუჩუკური და ნ. ქარელი (მათემატიკაში), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი ს. ადამია და სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი ზ. ლომსიანიძე (ქიმიაში), პუშკინის სახ. თბილისის პედინსტიტუტის დოცენტი ვ. ჩუცკოვი (ფიზიკაში).

მოსწავლეთა X საკავშირო ოლიმპიადის დასკვნით ტურებში წარმატებით გამოვიდნენ მათემატიკაში: ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის IX კლასის მოსწავლე ამირან ამბროლაძე, რომელმაც მიიღო მეორე ხარისხის დიპლომი (მომავალ 1977 წელს ის დაშვებულია პერსონალურად საკავშირო ოლიმპიადის დასკვნით ტურში) და VIII კლასის მოსწავლე ბიძინა მიდოდაშვილი-დაჯილდოვდა III ხარისხის დიპლომით. ქიმიაში I ხარისხის სიგელით დაჯილდოვდა 32-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე თ. გიორგაძე, ხოლო ფიზიკაში ასევე I ხარისხის სიგელით ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის X კლასის მოსწავლე პავლე მიდოდაშვილი.

მოსწავლეთა X საკავშირო ოლიმპიადის დასკვნით ტურებში მოპოვებული წარმატების შემდგომი განმტკიცების მიზნით,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აღინიშნოს ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის (დირექტორი ა. ცხადაია) და თბილისის 32-ე საშუალო სკოლის (დირექტორი ე. ნემსიწვერიძე) პედაგოგიური კოლექტივების ნაყოფიერი მუშაობა მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებისა და პრაქტიკული ჩვევების დანერგვის საქმეში.

2. გამოეცხადოთ მადლობა ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტებს: თ. ბუჩუკურსა და ნ. ქარელს, სამინისტროს სასკოლო ინსპექტორს ზ. ლომსიანიძეს.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ 42-ე საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი რაფიელ სამსონის ძე მოშაშვილი, ნორჩ მათემატიკოსთა რესპუბლიკური ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, დაკისრებული მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისა და X საკავშირო ოლიმპიადის დასკვნითი ტურისათვის საქართველოს ნაკრები გუნდის მომზადებაში აქტიური მონაწილეობისა და ხელმძღვანელობისათვის დაჯილდოვდა „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით.

5. მოსწავლეები ა. ამბროლაძე, ბ. მიდოდაშვილი, პ. მიდოდაშვილი (ვ. მ. კომაროვის სახ. თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატი), თ. გიორგაძე (თბილისის 33-ე საშუალო სკოლა) დაჯილდოვდნენ სამახსოვრო ფასიანი საჩუქრებით 30—40 მანეთის ფარგლებში., საჩუქრების გაცემა მოეწყოს საზეიმო ვითარებაში.

5. საჩუქრების შეძენა უზრუნველყონ ოლიმპიადებისათვის დამტკიცებული ხარჯების ეკონომიიდან: მათემატიკაში—თბილისის ფიზიკა-მათემატიკურმა საშუალო სკოლა-ინტერნატმა (ამხ. ა. ცხადაია), ქიმიაში—მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილი), ფიზიკაში—თბილისის ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურმა სადგურმა (ამხ გ. ეპიტაშვილი).

6. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ამხ. [illegible] თ. ჩიტაძე), კ. მ. კ. მარჯანიშვილის სახელობის თბილისის საშუალო სკოლა-ინტერნატს მათემატიკაში წრეობრივი მუშაობისათვის დამატებით დაუფინანსოს ორი განაკვეთი.

7. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი):

ა) შესაბამის ორგკომიტეტთან ერთად დროულად წარმოადგინოს მორიგი ოლიმპიადების ჩატარების ბრძანებები და დებულებები;

ბ) ახალი სასწავლო წლის დაწყებისთანავე ორგანიზაცია გაუკეთოს საკავშირო ოლიმპიადების დასკვნით ტურში მონაწილე კანდიდატებთან სისტემატურ მეცადინეობას.

8. გაზეთმა „სახალხო განათლებამ“ (ამხ. ნ. შველიძე) გამოაქვეყნოს აღნიშნული ბრძანება გაზეთის ფურცლებზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1976 წლის 10 ივნისის დადგენილება.

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 22 ივნისის ბრძანება № 629

**ქ. გორის, ასპინძის, ახალქალაქის, ახმეტის, გურჯაანის, ყაზბეგის, ქარელის, საგარეჯოს, სიღნაღის, თელავის, თიანეთისა და წითელწყაროს რაიონებში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების განხორციელების მდგომარეობის შესახებ**

საკითხის ადგილზე შესწავლით და განათლების სამინისტროში არსებული მასალების გაანალიზებით ირკვევა, რომ ზემოთ აღნიშნული რაიონების განათლების განყოფილებებსა და სკოლებს, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით, გარკვეული დადებითი მუშაობა აქვთ ჩატარებული საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების განსახორციელებლად.

შესრულებულია მოსწავლეთა კონტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმა; გაიზარდა სასკოლო ინტერნატების, გახანგრძლივებული დღის ჯგუფების რაოდენობა და მათში გაერთიანებულ მოსწავლეთა რიცხვი; წინა წლებთან შედარებით შემცირდა მეორეწლიანთა რაოდენობა; მეტი ყურადღება ექცევა სასწავლო კაბინეტების აღჭურვას თვალსაჩინოებითა და სწავლების ტექნიკური საშუალებებით; სკოლებში ინიშნება კვალიფიციური პედაგოგიური კადრები და სხვ.

მიუხედავად ზემოხსენებულისა, ქ. გორის, ასპინძის, ახალქალაქის, ახმეტის, გურჯაანის, ყაზბეგის, ქარელის, საგარეჯოს, სიღნაღის, თელავის, თიანეთისა და წითელწყაროს რაიონების განათლების განყოფილებებს (გამგეები ამხ. ამხ. ო. კლიმიაშვილი, ს. მამუკაშვილი, ს. იაილახანიანი, დ. ნაროზაული, ვ. კახაძერი, მ. კურკუმული, ყოფილი გამგე ნ. გოგიჩაშვილი, ნ. ჭანტურია, ე. დალაქიშვილი, ა. თვალიაშვილი, დ. გონჯილაშვილი, ნ. ბოსტოლანაშვილი) საყოველ-

თაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების განხორციელების საქმეში ჯერ კიდევ გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებები. ასე, მაგალითად, რიგ რაიონებში ვერ შესრულდა მოსწავლეთა კონტინგენტის სახალხო მეურნეობის გეგმა. ყაზბეგის რაიონში გეგმა შესრულებულია მხოლოდ 96,9%-ით, თიანეთის-95,9%-ით. ზოგიერთ რაიონში მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა არ შესრულდა საღამოს სკოლების ხაზით.

არასაკმაო მუშაობა ტარდება წინა წლებში სკოლას ჩამოშორებული ბავშვების დასაბრუნებლად და სწავლებაში ჩასაბმელად. ქ. გორში სკოლას ჩამოშორებული მოსწავლეებიდან სკოლას დაუბრუნდა 23 მოსწავლე. ასპინძის რაიონიდან-6, ახალქალაქის-19, გურჯაანის-3, ყაზბეგის-1, ქარელის-6, საგარეჯოს 47-დან-24, სიღნაღის-1, თელავის-2, თიანეთის-1, წითელწყაროს-2 და ა. შ.

დიდია სკოლებში მოსწავლეთა მოძრაობა და განთესვა: ქ. გორის სკოლებიდან ავადმყოფობის მიზეზით გავიდა 3 მოსწავლე, გაითხოვდა-18, მათ შორის № 3 საშუალო სკოლის IX-X კლასებიდან (დირექტორი ქ. კიკნაძე)-4, № 6 სკოლიდან (დირექტორი ც. მეხუზლა)-2, № 8 საშუალო სკოლიდან (დირექტორი დ. ქურასბედიანი)—2, მათ შორის IV-VIII კლასებიდან-1, № 10 სკოლიდან (დირექტორი პ. ზედგინიძე)-5, № 11 სკოლიდან (დირექტორი ს. ნუცუბიძე)-4, მათგან 2—IV-VIII კლასებიდან, № 13 (დირექტორი ე. შერმადინი) 1 IV-VIII კლასებიდან, პროფსასწავლებელში, რომელიც არ იძლევა საშუალო განათლებას—2 IX-X კლ; სიშორის გამო გორის № 3 საშუალო სკოლის IX-X კლასებიდან-3; საცხოვრებელი ადგილის შეცვლის გამო გავიდა-1, № 9 საშუალო სკოლის (დირექტორი ვ. მაზმიშვილი) IX კლასიდან; № 10 საშუალო სკოლიდან მუშაობს და არ სწავლობს 2, გაირიცხა № 13 საშუალო სკოლიდან 1, IV-VIII კლასიდან.

ასპინძის რაიონის დამალოს საშუალო სკოლიდან (დირექტორი ა. ბექირიანი) მუშაობს და არსად არ სწავლობს IV-VIII კლასებიდან 12 მოსწავლე და 9-IX-X კლასებიდან, სულ-21 მოსწავლე; გათხოვდა 11, მათგან 5-IV-VIII კლასებიდან, თუმცა პირველად ფორმებში ეს არ ჩანს; შემოწმებით გაირკვა, რომ ხიზაბავრის სკოლიდან (დირექტორი ი. ლეკიშვილი) განთესილია 9 მოსწავლე IV-VIII კლასებიდან, აწყვიტის (დირექტორი ზ. ივანიძე) საშუალო სკო-

ლიდან-14. აღნიშნული მოსწავლეები უსაფუძვლოდ არიან ამოღებული სიიდან.

ახალქალაქის რაიონის სკოლებიდან წავიდა პროფსასწავლებელში, რომელიც არ იძლევა საშუალო განათლებას IX-X კლასებიდან 103 მოსწავლე, მათ შორის ხანდოს სკოლიდან (დირექტორი მ. ნურიჯანიანი)-4, ვაჩიანის (დირექტორი ა. პილოსიანი)-23, კართიკამის (დირექტორი ა. ელიზბარიანი)-2, ოლავერდის (დირექტორი ს. მაითესიანი)-9, კუმურდოს (დირექტორი ზ. გაბრიელიანი)-10 და ა. შ., რაიონში მუშაობს და არსად არ სწავლობს IX-X კლასიდან აღრიცხული 47 მოსწავლე; ავადმყოფობის მიზეზით სკოლებიდან გავიდა 20, მათ შორის 4-I-III კლ., 14-IV-VIII კლ., 2-IX-X კლასებიდან.

ახმეტის რაიონის სკოლებიდან ავადმყოფობით გავიდა 5, მათ შორის I—III კლასებიდან,—2 ზემო ალვანისა (დირექტორი მ. ბაიხოძე) და დუისის (დირექტორი ვ. მერგოშვილი) საშუალო სკოლებიდან; IV-VIII კლასებიდან-2 ქისტაურის საშუალო (დირექტორი გ. ლაჩაშვილი) და ზემო ალვანის 8 წლიანი (დირექტორი ნ. თურქიშვილი) სკოლებიდან; სკოლის სიშორის გამო-1 ალავანის საშუალო სკოლიდან; განითესა 3, მათ შორის აწყურის (დირექტორი თ. გელდიაშვილი) 1, დუისის სკოლიდან I-III კლ.-1, IX-X კლასებიდან 1.

გურჯაანის რაიონის სკოლებიდან წავიდა პროფსასწავლებელში, რომელიც არ იძლევა საშუალო განათლებას 16, მათ შორის გურჯაანის № 1 საშუალო სკოლიდან (დირექტორი ქ. პეტრიაშვილი)-3, 2—IV-VIII კლასებიდან; ვაზისუბნის საშ. სკოლიდან (დირექტორი ი. სავაძე,4,-IV-VIII კლასებიდან; გაირიცხა 3, მათ შორის 2-IV-VIII კლასებიდან. გაირიცხა 3, მათ შორის ვეჯინის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ზ. სვიმონიშვილი)-2, ველისციხის სკოლიდან (დირექტორი ი. გურგენაშვილი)—1-IV-VIII კლ.; მუშაობს და არ სწავლობს 3; ავადმყოფობს—15, მათ შორის გურჯაანის № 1 სკოლიდან-5, სოფელ გურჯაანის საშუალო სკოლიდან (დირექტორი გ. ქიჰიკაშვილი) 1-I-VIII კლ.; კარდანახის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ა. მჭედლიშვილი)-4; სიშორის გამო-1, IV-VIII კლ; გურჯაანის № 2 საშუალო სკოლიდან (დირექტორი ნ. ხოლოდნოვა); გათხოვდა IV-VIII კლასების 8 მოსწავლე. გაურკვეველია, სად წავიდა I-III კლასების 5 მოსწავლე მუკუზნის 8 წლიანი სკოლიდან (დირექტორი ი. ყაჭიური).

ყაზბეგის რაიონის სკოლებიდან ავადმყოფობით გავიდა განითესა 1-IX-X კლასებიდან.

ქარელის რაიონიდან ავადმყოფობით გავიდა 11 მოსწავლე, გათხოვდა—12, მათ შორის ქარელის № 2 საშუალო სკოლიდან (დირექტორი მ. ჭანიშვილი) 5-IX-X კლ.; სხვადასხვა დანიშნულების კურსებზე სწავლობს—2, მათ შორის რუისის № 2 სკოლიდან (დირექტორი ს. ნასყიდაშვილი-1, ფცის საშუალო სკოლიდან (დირექტორი გ. ქოთოლაშვილი)-1; საცხოვრებელი ადგილის შეცვლის გამო ჩამოშორდა სწავლებას—1, მუშაობს და არ სწავლობს—1;

საგარეჯოს რაიონიდან გავიდა ავადმყოფობით 18, მათ შორის იორმუღანლოს საშუალო სკოლიდან (დირექტორი ა. სადიკოვი)-4 IV-VIII კლ; მუშაობს და არ სწავლობს 10, მათ შორის დუზაგრამის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ა ალიევი)-5, საგარეჯოს № 2 საშუალო სკოლიდან (დირექტორი მ. მეიფარიანი)-5, მათგან 4 IV-VIII კლ.; გათხოვდა-2, მათგან IV-VIII კლასის-1, მანავის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ე. ტულუში).

სიღნაღის რაიონის სკოლებიდან წავიდა პროფსასწავლებელში, რომელიც არ იძლევა საშუალო განათლებას—23; მუშაობს და არ სწავლობს-7, მათ შორის ნუკრიანის № 1 საშუალო სკოლიდან (დირექტორი გ. ქექუნაშვილი)-5 IX-X კლასელი; ავადმყოფობით-6; გაირიცხა-1 ანაგის საშუალო სკოლიდან (ყოფილი დირექტორი შ. მჭედლიშვილი);

თელავის რაიონიდან წავიდა პროფსასწავლებლებში, რომელიც არ იძლევა საშუალო განათლებას 30, მათ შორის თელავის № 1 საშუალო სკოლიდან (დირექტორი დ. ბოჭორიძე)-4, თელავის № 2 საშუალო სკოლიდან (დირექტორი ა. წიკლაური)-3, წინანდლის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ლ. კალანდაძე)-4 და ა. შ.; ავადმყოფობით-10, მათ შორის თელავის № 4 საშუალო სკოლიდან (დირექტორი ი. ქობალაძე)-4, კურდღელაურიდან (დირექტორი შ. კუკულაშვილი)-4; გათხოვდა 24, მათ შორის ყარაჯალის საშუალო სკოლიდან (დირექტორი შ. ალიევი)-10-IV—VIII კლ. და 11-IX-X კლასებიდან, სულ 21; გაირიცხა 3, მათ შორის თელავის № 2 სკოლიდან 1-IV-VIII კლ.; კონდოლის სკოლიდან (დირექტორი ვ. სვანიძე)-1.

წითელწყაროს რაიონიდან წავიდა სამუშაოდ 6; ავადმყოფობით ჩამოშორდა სწავლებას—55 4; გათხოვდა-3; გაურკვეველია, სად წა-

ვიდა 6, მათ შორის წითელწყაროს რუსული სკოლიდან (დირექტორი ი. ბოიკო)-4, № 1 სკოლიდან (დირექტორი ქ. ჯორკოშვილი)-2; წითელწყაროს რუსული და საბათლოს სომხური სკოლიდან (დირექტორი ვ. აივაზიანი) განითესა 3 მოსწავლე.

დასახელებულ რაიონებში სათანადო ყურადღება არ ექცევა 16-29 წლის ასაკის რვაწლიანი და საშუალო განათლების მქონე მუშა ახალგაზრდების სწავლებაში ჩაბმას. ქ. გორის 16-29 წლის ასაკის მქონე 366 ახალგაზრდიდან სწავლებაში ჩაბმულია მხოლოდ 84, ასპინძის რაიონში-მხოლოდ 55, ყაზბეგის 117-დან-9, ქარელის 380-დან-246, საგარეჯოს 429-დან მხოლოდ 233, წითელწყაროს-248 და ა. შ.

თიანეთის რაიონში შემოწმების დღისათვის სიები ჯერ არ იყო დაზუსტებული.

სკოლებში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა კონტინგენტის შენარჩუნებას. ხშირია შემთხვევები, როდესაც 1-ელ კლასში ჩარიცხული მოსწავლეები დროულად ვერ ამთავრებენ 8 ან 10 კლასს. ქ. გორში 1966-67 სასწავლო წელს 1-ელ კლასში ჩარიცხულთაგან ამჟამად X კლასში სწავლობს მოსწავლეთა მხოლოდ 69,4%, ახალქალაქის რაიონში-65,7%, გურჯაანის-66,4%, ყაზბეგის-44,2%, ქარელის-65,7%, საგარეჯოს 55,6%, სიღნაღის-72,8%, თიანეთის-73,5%, წითელწყაროს-60,8%, თელავის რაიონის განათლების განყოფილების სათანადო ცნობები არ გააჩნია.

1968—69 სასწავლო წელს 1-ელ კლასში ჩარიცხულთაგან ამჟამად VIII კლასში სწავლობს ახალქალაქის რაიონში მხოლოდ 80,6%, გურჯაანის-80,3%, ყაზბეგის-61,5%, საგარეჯოს-87%, თიანეთის-81,2% და ა.შ.

რაიონის სახალხო განათლების, განყოფილებების, სკოლების დირექტორებისა და პედაგოგიური კოლექტივების მხრივ ნაკლები ყურადღება ექცევა 8 კლასდამთავრებულთა სწავლებაში ჩაბმისა და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულთა შრომით მოწყობის საქმეს;

1974-75 სასწავლო წელს ქ. გორში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის 606 კურსდამთავრებულიდან დღემდე დაუსაქმებელია 371 ახალგაზრდა, ახმეტის რაიონში 544-დან-20, გურჯაანის 958 დან-81, ყაზბეგის 49-დან-19, ქარელის 802-დან-91, სიღნაღის 62 დან-56, თელავის [illegible]-დან 227, თიანეთის 219-30. ქარელის რაიონში საერთოდ არ წარმოებს კურსდამთავრებულთა საქმიანობის აღრიცხვა.

დღემდე ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა მოსწავლეთა აკადემიური წარმატებისათვის ბრძოლას. სკოლებში არ ტარდება სისტემატურად დამატებითი მეცადინეობანი, რის გამო დიდია შემოწმებულ რაიონებში მეორეწლიანთა რაოდენობა. 1974-75 სასწავლო წელს ასპინძის რაიონში იმავე კლასში დატოვებულ იქნა 88 მოსწავლე, ახმეტაში-52, ახალქალაქში-178, გურჯაანში-49, ქარელში-36, საგარეჯოში 183, სიღნაღში-39, თელავში-180, თიანეთში-73, წითელწყაროში-216, მათ შორის მეორეწლიანთა-42% მოდის წითელწყაროს რუსულ საშუალო სკოლაზე. ამავე სკოლის მოსამზადებელ კლასში დატოვებულ იქნა 1 მოსწავლე; ლენინის დაწყებითი სკოლის II კლასში ირიცხებოდა მხოლოდ 1 მოსწავლე და ისიც დატოვებულია იმავე კლასში.

სულ აღნიშნულ რაიონებში არის 1221 მეორეწლიანი, მათ შორის I-III კლასებიდან-162.

სერიოზული ნაკლოვანებანი აღინიშნება 6-15 წლის სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის საქმეში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 15 ივლისის № 579 ინსტრუქცია მთელ რიგ ნაწილში არ ხორციელდება.

ბავშვების აღრიცხვა არ ჩატარებულა გურჯაანის რაიონის ველისციხისა და კალაურის სკოლებში, ზუსტი სია არ აქვს ქარელის რაიონს, ხოლო წითელწყაროს რაიონში ბავშვთა და მოზარდთა აღწერა არ ტარდება დროულად და სასოფლო საბჭოები დაგვიანებით აწვდიან სკოლებს სიებს. აღნიშნულ რაიონში სკოლის გარეთ დარჩენილია 11 ბავშვი.

გონებრივი და ფიზიკური ნაკლის მქონე სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი ჩაბმული არ არის სპეციალურ სკოლა-ინტერნატებში. ასე მაგალითად, ახმეტის რაიონში სპეციალურ სასწავლებელში ჩაბმულია 7-დან-4, გურჯაანში-30-დან 2, ქარელში-52-დან-14, ქ. გორში-19. გონებრივი და ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვებიდან არც ერთი არ სწავლობს, საგარეჯოში-24-დან არც ერთი, ყაზბეგში-5-დან არც ერთი, სიღნაღში 5-დან არც ერთი, თელავში 7-დან არც ერთი, თიანეთში 28-დან არც ერთი.

სახალხო განათლების ორგანოებმა და სკოლის მუშაკებმა ვერ შეძლეს აღმოეფხვრათ არასრულწლოვანთა მიერ სამართალდარღვევათა შემთხვევები. ქ. გორში უკანასკნელ პერიოდში მოსწავლეთა მხრივ ადგილი ჰქონდა სხვადასხვა სახის დანაშაულის 4 შემთხვევას

ახმეტის რაიონში-5, გურჯაანის-10, ყაზბეგის1, ქარელის—14, სიღნაღის-1, წითელწყაროს-8 შემთხვევას.

დიდია ცვლებში მომეცადინე მოსწავლეთა რაოდენობა. მეორე ცვლაში მეცადინეობს: ქ. გორში 2585 მოსწავლე, ხოლო მესამე ცვლაში-218 მოსწავლე, ასპინძის რაიონში-802, ახალქალაქში-4495, ახმეტაში-2743, გურჯაანში-2397, ქარელში-2892, საგარეჯოში-8126, სიღნაღში-978, თელავში-1928, თიანეთში-111, წითელწყაროში-4767,

ზემოაღნიშნულ რაიონებში სასკოლო ინტერნატების ქსელი და გახანგრძლივებული დღის ჯგუფების რაოდენობა ვერ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს. მათში არ არის შექმნილი აღსაზრდელთა ცხოვრებისათვის საჭირო პირობები. ბევრგან ინტერნატები და ჯგუფების მოსწავლეები არ მარაგდებიან ცხელი კერძებით. ქარელის რაიონის გვერძინეთის 8 წლიანი სკოლის (დირექტორი ვ. მეტოევი) სასკოლო ინტერნატს აქვს ვიწრო საწოლი ოთახები, არ არის უზრუნველყოფილი ინვენტარით, მოშლილია წყალგაყვანილობა, მოუწესრიგებელია პროდუქტებით მომარაგება. არც ერთი სასკოლო ინტერნატი არაა გახსნილი გურჯაანის, სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონებში.

ცუდად არის ორგანიზებული ბავშვების კვება გახანგრძლივებულ დღის ჯგუფებში. არც ერთი გახანგრძლივებული დღის ჯგუფი არ არის გახსნილი ახმეტის, ყაზბეგის, ქარელისა და თელავის რაიონებში.

შემოწმებამ ცხადყო, რომ სუსტად სრულდება კანონმდებლობა მოსწავლეთა უფასო გადაყვანის შესახებ. ასპინძის რაიონში სკოლიდან 3 და მეტი კმ დაშორებით ცხოვრობს 45 მოსწავლე, მათგან ორგანიზებულია ტრანსპორტით გადაყვანა 22-ის, ახალქალაქის-485-დან 33-ის, ახმეტის 282-დან 188-ის, ყაზბეგის-31-დან არც ერთის გადაყვანა არ არის ორგანიზებული, ქარელის-744 დან 105-ის. საგარეჯოს-363-დან-278-ის, თელავის 739-დან-644-ის. თიანეთის 416-დან მხოლოდ 19-ის, წითელწყაროს-318-დან 78-ის.

მთელი რიგი რაიონების მიერ საყოველთაო -სავალდებულო სწავლების ფონდი არ არის სრულად ათვისებული. შემოწმების დღისათვის ქარელის რაიონში 17170 მანეთიდან ათვისებულ იყო 899; სიღნაღის 10000-დან-4000, თელავის 5270-დან-3560, თიანეთის 6000-დან-2000 და ა. შ ქარელის რაიონში ამ საკითხს არ ეთმობა სათანადო

ყურადღება. არც განათლების განყოფილებასა და არც სკოლებს არ გააჩნიათ ხელმოკლე ოჯახების აღრიცხვა.

სკოლები უზრუნველყოფილი არ არის კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით. რიგ რაიონებში ახლად დანიშნული მასწავლებლები არ ცხადდებიან სამუშაოდ. სკოლები განიცდიან ფიზიკის, მათემატიკის, ქიმიისა და უცხოური ენების სპეციალისტების ნაკლოვანებას. საჭირო ყურადღება არ ეთმობა სოფლად მომუშავე მასწავლებელთათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხს.

ზოგ სკოლაში საჭირო ყურადღება არ ექცევა სასკოლო დოკუმენტაციის წარმოებას. ყაზბეგისა და წითელწყაროს რაიონების სკოლებს ხშირ შემთხვევაში არ აქვთ გასულ მოსწავლეზე დასტური, ქარელის № 3 საშუალო სკოლიდან ყოველგვარი ნებართვის გარეშე წასულია მეათე კლასის მოსწავლე, ქ. გორის № 10 საშუალო სკოლაში მოუწესრიგებელია მოსწავლეთა პირადი საქმეები, არ აწარმოებენ ალფაბეტურ წიგნს, გვერძინეთის რვაწლიან სკოლაში რვაკლასდამთავრებულთა მოწმობების გაცემის წიგნში არ არის კურსდამთავრებულთა ხელმოწერა;

ასევე მოუწესრიგებელია მოსწავლეთა პირადი საქმეები თიანეთის რაიონის სალამოს სკოლებში.

სკოლებში საკმაო პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან ზს ფორმის სწორად შევსებას: ხშირად არ არის გაშიფრული, თუ სად და რა მიზეზით გავიდა სკოლიდან ბავშვი, ამ ფორმებზე არ არის სათანადო ხელმძღვანელი პირის ხელმოწერა.

ქ. გორის, ასპინძის, ახალქალაქის, ახმეტის, გურჯაანის, ყაზბეგის, ქარელის, საგარეჯოს, სიღნაღის, თელავის, თიანეთისა და წითელწყაროს რაიონებში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების განხორციელების საქმეში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქ. გორის, ასპინძის, ახალქალაქის, ახმეტის, გურჯაანის, ყაზბეგის, ქარელის, საგარეჯოს, სიღნაღის, თელავის, თიანეთისა და წითელწყაროს რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა (ამხ. ამხ. ო. კლიმიაშვილმა, ს. მამუკაშვილმა, ს. თაილახა-

ნიანმა, დ. ნაროზაულმა, ვ. კახაბერმა, გ. კურკუმულმა. ვ. ბაქრაძემ, ნ. ჭანტურიამ, ნ. დალაქიშვილმა, ა. ფალიაშვილმა, დ. გონჯილაშვილმა, ნ. ბოსტოლანაშვილმა):

ეროვნული ბიბლიოთეკა

—ქმედითი ღონისძიებანი განახორციელონ საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების უზრუნველსაყოფად;

—განახორციელონ მათთვის შესაძლებელი ყველა ღონისძიება სკოლების სასწავლო- მატერიალური და ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად;

—უზრუნველყონ სკოლებში მოსწავლეთა აღრიცხვისა და მოძრაობის დოკუმენტაციის სწორი წარმოება (მოსწავლეთა პირველადი სიები, აღმასკომებიდან მიღებული ბრძანებების წიგნები, ალფაბეტური წიგნები, საკლასო ჟურნალები და პირადი საქმეები);

—მოაწესრიგონ ალფაბეტურ წიგნში, სასკოლო ჟურნალებში, მოსწავლეთა პირად საქმესა და სხვა დოკუმენტებში არსებული შეუსაბამობა ბავშვის დაბადების მოწმობის ჩანაწერებთან;

—აღმოფხვრან მოსწავლეთა სკოლიდან უმიზეზოდ გასვლა, მკაცრი პასუხი მოთხოვონ იმ სკოლების დირექტორებს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით რვაკლასდაუმთავრებელ მოსწავლეებს აგზავნიან პროფსასწავლებლებში;

—საჭიროების მიხედვით გაშალონ სასკოლო ინტერნატებისა და გახანგრძლივებული დღის ჯგუფების ქსელი და გაზარდონ მათში ჩაბმულ მოსწავლეთა რაოდენობა; მეტი ყურადღება მიაქციონ ბავშვთა კვების საკითხს;

—ქმედითი ზომები მიიღონ მოსწავლეთა აკადემიური წარმატების ასამაღლებლად. ამ მიზნით მკვეთრად გააძლიერონ მეორეწლიან და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან მუშაობა, განახორციელონ დამატებითი ღონიძიებანი, რათა სასწავლო წლის ბოლოსათვის ლიკვიდაცია უყონ მეორეწლიან მოსწავლეთა აკადემიურ ჩამორჩენას;

—მეტი ყურადღება მიაქციონ სასკოლო დისციპლინის განმტკიცების საკითხს;

—ყოველნაირად აამაღლონ სკოლების ხელმძღვანელობისა და პედაგოგიური კოლექტივების პასუხისმგებლობა საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონისა და საყოველთაო საშუალო

განათლებაზე გადასვლის დამთავრების უზრუნველყოფაში. ბოლო მოუღონ სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვისა და სტატისტიკური ფორმების შევსების საქმისადმი დღემდე ზოგ სკოლასა და განყოფილებაში დამკვიდრებულ არასწორ პრაქტიკას;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

—მთელ მუშაობაში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის განსახორციელებლად აქტიურად ჩააბან მასწავლებელთა პროფკავშირული და კომკავშირული აქტივი, მოსწავლეთა მშობლები და ფართო საზოგადოებრიობა;

—მიაღწიონ იმას, რომ უკლებლივ ყველა მოსწავლე ამთავრებდეს რვაწლიანი სკოლის სრულ კურსს და შემდგომ, საშუალო განათლების მისაღებად, სწავლას აგრძელებდეს საშუალო სკოლის მე-9 კლასში, სპეცსასწავლებლებსა და საშუალო პროფსასწავლებელში;

—მომუშავე ახალგაზრდებს, რომელთაც არ აქვს რვაწლიანი ან საშუალო განათლება, შეუქმნან ყოველგვარი პირობები საშუალო განათლების მისაღებად;

—უზრუნველყონ 3 და მეტ კმ სკოლას დაშორებით მცხოვრებ მოსწავლეთა ტრანსპორტით უფასოდ გადაყვანა;

—იზრუნონ რაიონში ჩასულ მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის;

—ქმედითი ზომები მიიღონ მოსწავლეთა კონტინგენტის შესანარჩუნებლად. სასოფლო საბჭოებთან და სახლმმართველობებთან ერთად ზუსტად აღრიცხონ სწავლას ჩამოცილებული ბავშვები და უზრუნველყონ მათი სკოლებში დაბრუნება;

—ეროულად და დანიშნულებისამებრ გამოიყენონ საყოველთაო სწავლების ფონდი;

—სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე სისტემატურად განიხილონ საკითხი საყოველთაო სწავლების საქმეში არსებული ნაკლოვანებების შესახებ, დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი მათ სალიკვიდაციოდ.

2. საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის განხორციელების საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის ქ. გორის № 3, № 9, № 10, № 11, ასპინძის რაიონის დამალოს, ხიზაბავრისა და აწყვიტის, ახალქალაქის რაიონის ხანდოს, ვაჩიანის, კართიკამის, ოლავერდისა და გომბურდის, ახმეტის რაიონის ზემო ალვანის,

აწყურისა და დუისის, გურჯაანის რაიონის გურჯაანის № 1, № 2, ვაზისუბნის, ველისციხის, კარდანახის, მუკუზნის, ქარელის რაიონის ქარელის № 2, საგარეჯოს რაიონის იორ-მუღანლოს, დუზაგრამის, საგარეჯოს № 2, სიღნაღის რაიონის ნუკრიანის № 1, შულავერის № 1, № 2, № 4, თელავის რაიონის წინანდლის, კურდღელაურის, ყარაღაჯის, წითელწყაროს რუსული, საბათლოს სომხური, ლენინოს სკოლების დირექტორებს: ქ. კიკნაძეს, ვ. მაზმიშვილს, პ. ზედგინიძეს, ს. ნოცუბიძეს, ა. ბექირიანს, ი. ლეკიშვილს, ზ. ივანიძეს, მ, ნურიჯანიანს, ა. პოლოსიანს, ა. ელიზბარიანს, ს. მაითესიანს, ზ. გაბრიელიანს, გ. ბაიხოძეს, თ. გელდიაშვილს, ვ. მერგოშვილს, ქ. პეტრიაშვილს, ნ. ხოლოდნოვას, ი. სავაძეს, ზ. სვიმონიშვილს, ა. მჭედლიშვილს, ი. ყაჭიურს, შ. მელაშვილს, მ. ჭანიშვილს, ა. სადიკოვს, ა. ალიევს, მ. მეიფარიანს, გ. ჟუჟუნაშვილს, დ. ბოჭორიძეს, ა. წიკლაურს, ი. ქობალაძეს, ლ. კალანდაძეს, შ. კიკოლაშვილს, შ. ალიევს, ა. ბოიკოს, ვ. აივაზიანს გამოეცხადოთ საყვედური.

3. მკაცრად იქნენ გაფრთხილებული ასპინძის, ახალქალაქის, თიანეთის, ყაზბეგისა და ქარელის რაიონების განათლების განყოფილებები (გამგეები ამხ. ამხ. ს. მამუკაშვილი, ს. იაილახანიანი, დ. გონჯილაშვილი, გ. კურკუმული) საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის განხორციელებაზე არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობის გამო.

4. აღინიშნოს, საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების განხორციელებისადმი ქ. გორის, ახმეტის, გურჯაანის, საგარეჯოს, თელავისა და წითელწყაროს რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეების ო. კლიმიაშვილის, ნაროზაულის, ვ. კახაძერის, ნ. ჭანტურიას, ე. დალაქიშვილის, ა. თკალიაშვილის, ნ. ბოსტოღანაშვილის არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობა.

5. ქ. გორის, ასპინძის, ახალქალაქის, ახმეტის, გურჯაანის, ყაზბეგის, ქარელის, საგარეჯოს, სიღნაღის, თელავის, თიანეთისა და წითელწყაროს რაიონების განათლების განყოფილებებმა 1976 წლის 20 დეკემბრამდე წარმოადგინონ მოხსენებითი ბარათები აღნიშნულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობაზე.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1976 წლის 18 ივნისის სხდომის დადგენილება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

თ 10/229
Г 171
1976

# შინაარსი

1. ბრძანება № 562—თბილისის ლენინის სახელობის, ლენინგორისა და წითელწყაროს რაიონებში უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა შვილად აყვანის, პატრონირების, მეურვეობისა და მზრუნველობის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . 3
2. ბრძანება № 565—რესპუბლიკის საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში ახალი 1976—1977 სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ . . . . . 7
3. ბრძანება № 566—სკოლებსა და სხვა სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და კუჭ-ნაწლავის მწვავე დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ . . . . . 11
4. ბრძანება № 568—საქართველოს კპ ცკ-ისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 3 თებერვლის № 118 დადგენილების შესაბამისად ენგურჰესმშენის დასახლების სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . 13
5. ბრძანება № 575—იაკობ გოგებაშვილის მედლით დასაჯილდოებლად წამოყენებული კანდიდატურების განმხილველი კომისიის შემადგენლობის შესახებ . . . . . 22
6. ბრძანება № 576—სკკპ XXV ყრილობის მასალების გაცნობის, შესწავლისა და პროპაგანდის შესახებ . . . . . 23
7. ბრძანება № 580—მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა აღრიცხვის, დანიშვნის, გადაყვანისა და განთავისუფლების მდგომარეობის შემოწმების შედეგები ქ. ქ. ქუთაისის, გორის, სოხუმის, გეგეჭკორის, ყვარლის, ბოლნისისა და კასპის რაიონების განათლების განყოფილებებში . . . . . 26
8. დადგენილება—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემაში შრომის კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . 33
9. Приказ № 605—О состоянии преподавания русского языка и литературы в общеобразовательных школах города Цхинвали . . . 40
10. Приказ № 660—О преподавании русского языка и литературы в общеобразовательных школах Самтредского района в свете решения ЦК КП Грузии от 10 июля 1973 г. . . . . . 45
11. ბრძანება № 603—მათემატიკაში, ფიზიკასა და ქიმიაში მოსწავლეთა X საკავშირო ოლიმპიადების შედეგების შესახებ 49
12. ბრძანება № 629—ქ. გორის, ასპინძის, ახალქალაქის, ახმეტის, გურჯაანის, ყაზბეგის, ქარელის, საგარეჯოს, სიღნაღის, თელავის, თიანეთისა და წითელწყაროს რაიონებში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის გატარებისა და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრების განხორციელების მდგომარეობის შესახებ . 52